ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი




ორშაბათი, 13 მაისი, 2013 | №111 (6112) | ფასი: 30 თეთრი

# დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე და ზაზა გოროზია რესტორანში გალახეს





გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი მოადგილე დაიჭირა

გვ.5

რა ედება ბრალად გელა ხვედელიძეს





## „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დასახელდა

გვ.3



## გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალების წინააღმდეგ პროკურატურაში 20 ათასი საჩივარი შევიდა“

გვ.5



გვ.4

## შალვა ხაჭაპურიძე: „გეების აღლუმი მერიის წინ უნდა ჩატარდეს“

## შსს-მ 10 წლის მოზარდის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი დააკავა

გვ.5

### გიორგი თევზაძე: „ჩინელებისა და ინდოელების ჩამოსახლება უკვე საგანგაშო გახდა“



გვ.2



გვ.6

### უნდა მოხდეს თუ არა მარიხუანას ლეგალიზება

### გია ხუხაშვილს ბიზნესზე თავდასხმებისგან თავის შეკავებას ურჩევენ



გვ.2

7 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**7** დეკრეტული შვებულება 15 თვით უნდა განისაზღვროს?

**4** პრეზიდენტი შეცდომისთვის ბოდიშს იხდის

**7** ავთანდილ დემეტრაშვილი: „პარლამენტის უფლებები უნდა გაძლიერდეს“

**6** პატრიარქმა ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი აკურთხა

# გიორგი თევზაძე: „ჩინელებისა და ინდოელების ჩამოსახლება უკვე საგანგაშო გახდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ გიორგი თევზაძესთან



***— ბატონო გიორგი, გავრცელებული ინფორმაციით, სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში გაიმართა აფხაზეთის დე ფაქტო კულტურის დღეები. ამ ე.წ. აფხაზეთის კულტურის დღეების ფარგლებში ქართალის მოედანზე მოეწყო მსვლელობა, ფოტო და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და სხვა ღონისძიებები. რამდენად მეგობრულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის მხარის ეს მოქმედება?***

— რა თქმა უნდა, თურქეთის მხარის ეს ნაბიჯი არ წაადგება ქართულ-თურქულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. გვაქვს მოლოდინი, რომ ოფიციალური თურქეთი გამოკვეთილად გაემიჯნება აფხაზეთის დე ფაქტო კულტურის დღეების ღონისძიებებთან კავშირს და სამომავლოდ შექმნის სათანადო პირობებს, ქართულ-თურქულ მეგობრულ ურთიერთობებში უხერხულობების აღმოსაფხვრელად. აუცილებელია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კომპეტენციის შესაბამისად თუ განახორციელებს ფაქტზე რეაგირებას და საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება ოფიციალური თურქეთის პოზიცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ასევე აუცილებელია, ქართული ოფიციალური თბილისის მხრიდან გაკეთდეს მეზობელი ქვეყნებისთვის სათანადო მესიჯი პრევენციის სახით, რათა ავირიდოთ თავი პროვოკაციებსა და ურთიერთობების გაუარესებას. ასეთი მესიჯი შედის მეზობელ და სხვა ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნების ინტერესებში.

***— ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებიც ადასტურებენ ნაწილობრივ პრობლემებს იმ ტემპის მიმართ, როგორადაც ხდება რეაგირება საკმაოდ მოცულობითი რაოდენობის განცხადებებსა და საჩივრებზე. თქვენი აზრი როგორია აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— ჩვენ გვესმის და, გარკვეულწილად, ვიზიარებთ საზოგადოების იმ ნაწილის წუხილს, რომელთაც ჰქონდათ მეტი მოლოდინი, ვიდრე რეალობამ აჩვენა. ჩვენ ვერ გამოვდგებით ამ ხელისუფლების ადვოკატებად, მაგრამ ობიექტურობა გვიჩვენებს, რომ იმთავითვე შეუძლებელი იქნებოდა მრავალრიცხოვან უკანონობებზე ოპერატიული რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ამის ფინანსური და არც ადამიანური რესურსი იქნებოდა საკმარისი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელი იყო და მოქმედ ხელისუფლებას ევალებოდა, სრული წარმოდგენა შეექმნა საზოგადოების მოლოდინისთვის, მეტი რეაგირება მოეხდინა წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილ უკანონობებზე. ბოლო პერიოდში კოალიციაში შემოსული წერილების ფონზე იკვეთება იმ პირთა არგუმენტირებული და საფუძვლიანი მოთხოვნები, რომლებმაც დაკარგეს ქონება და უსამართლოდ შეეზღუდათ უფლებები წინა ხელისუფლებების არასამართლიანი მართლმსაჯულების პირობებში. ეს ეხება როგორც სისხლის საქმეთა, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. ჩვენი კოალიციის იურისტების მიერ შესწავლილ იქნა ცალკეული საქმეები მათი განცხადებების საფუძველზე. წინასწარი შესწავლით იკვეთება განმცხადებლების არგუმენტირებული პრეტენზიები მათ მიმართ გამოტანილ უსამართლო გადაწყვეტილებებზე. ზოგადი ანალიზი ტოვებს საფუძვლიან ვარაუდს, კოჰაბიტაციის პროცესი ხომ არ წარმოადგენს გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორს საზოგადოების დაკვეთის შესრულებისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესში.

***— როგორც კოალიცია „თქვენი უფლებებისთვის“ სპიკერი, რას იტყვით კოალიციაში შემოსულ კონკრეტულ საქმეებზე?***

— როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი განცხადებები და საჩივრები, კოალიციაში პერიოდულად შემოდის, რომელთა ნაწილი უკავშირდება სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნებს და პრეტენზიებს, მათი უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით. საზოგადოების ყურადღებას შევაჩერებ რამდენიმე გახმაურებულ ფაქტზე. კერძოდ, ჩვენი კოალიციის იურისტებმა შეისწავლეს ალუდი კაპანაძის განცხადება გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებაზე. საქმე უკავშირდება ქონებრივ დავას ქეთევან მოსემღვდლიშვილთან, რომელიც არის გურჯაანის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის დავით მესხიშვილის დედა. ბევრ კითხვას ბადებს არა მარტო ნათესაური კავშირი, არამედ გამოკვეთილად მიკერძოებული დამოკიდებულება სასამართლოს მხრიდან დავით მესხიშვილის დედის სასარგებლოდ და ალუდი კაპანაძის საზიანოდ. ამ დავაზე გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ემთხვევა დავით მესხიშვილის გურჯაანის გამგებლობის პერიოდს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ალუდი კაპანაძის წინააღმდეგ ტენდენციური დამოკიდებულებით გამოირჩევა არა მარტო გურჯაანის რაიონის სასამართლო, არამედ საჯარო რეესტრის ტერიტორიული ორგანო, რომლის მიერ მიღებულია საეჭვო გადაწყვეტილებები ალუდი კაპანაძის ქონებრივი ინტერესების საზიანოდ და ქეთევან მოსემღვდლიშვილის სასარგებლოდ, რომელიც გამოძიების შესწავლის თემაა. ასევე ტელეკომპანია „ტვ-9“-ზე გასული სიუჟეტი, რომელიც უკავშირდება მოწმის ჩვენებას ალუდი კაპანაძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულებაზე, რომელშიც ფიგურირებენ გურჯაანის გამგებელი დავით მესხიშვილი და მისი მძღოლი. ეს საკითხიც ასევე სათანადო გამოძიებას საჭიროებს. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს რეაგირება დღემდე არ განხორციელებულა, მიუხედავად ალუდი კაპანაძის არაერთი წერილობითი თხოვნისა და განცხადებისა. ალუდი კაპანაძის წინააღმდეგ მოქმედებები წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო, თუმცა რატომღაც არც მოქმედი ხელისუფლების მხრიდან იგრძნობა მცდელობა საქმის ობიექტური შესწავლისა და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამოქალაქო დავას იხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო, ხოლო მოწმეზე იძულებისა და საჯარო რეესტრის საეჭვო მოქმედებების შესწავლა დღემდე საეჭვოდ ჭიანურდება. ამ ფაქტებზე კოალიცია განახორციელებს სათანადო რეაგირებასა და მონიტორინგს. ანალოგიური უსამართლო გადაწყვეტილებების მსხვერპლია საგარეჯოს მკვიდრი გიორგი ჯაფოშვილი, რომელსაც, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლების პირობებში დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოართვეს საკმაოდ სოლიდური უძრავი ქონება, დაახლოებით 90 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლის მოვლასა და მოწესრიგებაში ათობით ათასი აშშ დოლარის ხარჯი იქნა ამ პიროვნების მიერ გაწეული. ქონების „ჩამორთმევის“ პროცესში განსაკუთრებით აქტიურობდა დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობით. კოალიცია სრულადაა ინფორმირებული გიორგი ჯაფოშვილის მიმართ განხორციელებული უსამართლო გადაწყვეტილებების შესახებ და გეგმავს შესაბამის რეაგირებას სათანადო კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყებებში, გიორგი ჯაფოშვილის კანონიერი ინტერესების დასაცავად, ამ მიზნით დაიგეგმება შეხვედრები საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, გიორგი ცაგარეიშვილთან და გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძესთან. კოალიცია „თქვენი უფლებებისათვის“ ასევე იცავს პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლის ხვიჩა მეშვილდიშვილის კანონიერ ინტერესებს, რომელიც გამოკვეთილად უკანონო პატიმარი იყო წინა ხელისუფლების პირობებში. ამჟამად ეს პიროვნება გათავისუფლებულია და ახორციელებს სათანადო მოქმედებებს არა მარტო რეაბილიტაციისათვის, არამედ უკანონოდ წართმეული ბიზნესის დასაბრუნებლად და უკანონო მსჯავრდებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არაერთი განცხადებისა და საჩივრის მიუხედავად, დღემდე აღნიშნულ საქმეზე არსებითი წინსვლა არ შეიმჩნევა. მრავალი სხვა საქმის მსგავსად ამ საქმის განხილვაც დროში ჭიანურდება. წარმოდგენილ და სხვა ანალოგიური შინაარსის საქმეებზე ხელისუფლების ობიექტური რეაგირება იქნება ტესტი ახალი ხელისუფლებისთვის და იმის მანიშნებელი, რომ მოქმედი ხელისუფლება გაემიჯნება წინა ხელისუფლების უკანონო პრაქტიკას, რის იმედსაც საზოგადოება იტოვებს. კოალიცია კი გააგრძელებს ამ საკითხის საზოგადოებრივ მონიტორინგს და შედეგებზე საზოგადოების ინფორმირებას. აუცილებელია, სამართლიანობის აღდგენა იგრძნონ რიგითმა მოქალაქეებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, საქართველოში მრავლად არიან. ასევე აუცილებელია, ეს პროცესი პიარის ნაწილად არ იქცეს. საზოგადოებისთვის ასევე საინტერესოა, იმ ოდიოზური ჩინოვნიკებისა და სხვა სამართალდამრღვევების მიმართ რა სახისა და ზომის სასჯელი იქნება გამოყენებული. საზოგადოების დაზარალებული ნაწილისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მათთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება და უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება.

***— ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მასობრივი მიგრაცია საქართველოში, რომელსაც ხშირ შემთხვევებში თან სდევს უძრავი, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მასობრივად შეძენა.***

— ის მიგრაციული პროცესები საგანგაშოა, რომელიც უკავშირდება უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მათ შორის, ჩინეთისა და ინდოეთის მოქალაქეების მასობრივ ჩამოსვლას. არც ერთი ეროვნების მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია. საუბარია ქართული გენოფონდისა და ქართული ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობაზე, რაზეც გამოკვეთილი სახელმწიფო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს და შესაბამისი კანონმდებლობა უნდა არსებობდეს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ქართული ეთნიკური მოსახლეობისთვის, რომელიც მცირე ერების კატეგორიასა და მცირემიწიან ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენზე გაცილებით დიდი, მრავალრიცხოვანი და დემოკრატიული განვითარების ქვეყნების ხელისუფალნი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდებიან საკმაოდ დელიკატურ საემიგრაციო კანონმდებლობას, მით უმეტეს, ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ხელისუფლებას, რომ პროცესებმა უკონტროლო სახე არ მიიღოს. აღნიშნულ საკითხს პირდაპირ უკავშირდება დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები. ინდოეთში, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში ჭარბი მოსახლეობაა, რაც დიდ პრობლემებს უქმნის ამ ქვეყნებს. ამ პროცესების პარალელურად ბოლო 22 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გალატაკდა. ამიტომ მიწა საგრძნობლად გაიაფდა, რამაც უცხოელებისთვის, განსაკუთრებით ჭარბი მოსახლეობის მქონე ქვეყნებისთვის მიმზიდველი გახდა საქართველო. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ჩინელთა და ინდოელთა კომპაქტურად განსახლების ადგილები, ქართველი გლეხებისაგან რეალურ საბაზრო ფასებთან შედარებით სიმბოლურ ფასებად, რაც ქართული მიწის ბაზარზე წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული გაუმართლებელი და არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა ინერციით გრძელდება, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს. ჩვენ ვეთანხმებით საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის, ასევე ცალკეული ექსპერტების მოსაზრებებს, მიგრაციულ და ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში მიწის შეძენაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ, სათანადო პოლიტიკის შემუშავების და სათანადო კანონმდებლობის ამოქმედებამდე. ეს საკითხი მხოლოდ პოლიტიკური ნების საკითხია, რადგან ასეთი ნების პირობებში რეალური პოლიტიკის გატარება სირთულეს არ წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, რომ მოქმედი ხელისუფლება მხედველობაში მიიღებს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის თხოვნას და, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელებს სათანადო მოქმედებებს ქართული საემიგრაციო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისთვის. ბოლო პერიოდში მრავლად დაგროვდა მაგალითები უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შეუფერხებლად შემოსვლის, ბინადრობის და სამომავლოდ სხვადასხვა სახის ბიზნეს-გეგმის განხორციელების სურვილით, რაც მუდმივად დამკვიდრების წინაპირობებს ქმნის. არც ერთი უცხოელის მიმართ პიროვნული პრეტენზია არ გაგვაჩნია. საუბარია ქართული სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი სწორი საემიგრაციო კანონმდებლობის ამოქმედების აუცილებლობაზე.

## გია ხუხაშვილს ბიზნესზე თავდასხმებისგან თავის შეკავებას ურჩევენ



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ბოლო პერიოდში პრემიერ-მინისტრის მრჩევლის გია ხუხაშვილის მიერ „ქართველი ბიზნესმენების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებზე, როგორც უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევასა და გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობის ფაქტებთან“ დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, განსაკუთრებით აშკარა და დაუსაბუთებელი თავდასხმები ხორციელდება ცეზარ ჩოჩელსა და მის ბიზნესზე.

„თუ ცეზარ ჩოჩელს რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, შესაბამისმა საგამოძიებო სამსახურებმა უნდა გამოიძიონ, ბიზნესზე მსგავსი შეტევები დაუშვებელია, რადგანაც ამით საქმიანი რეპუტაცია ელახება კომპანიებს, რაც მათ საქმიანობაზე პირდაპირ ასახვას ჰპოვებს, რითაც საწარმოებში დასაქმებულია ასობით ადამიანს სამსახურის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება. როცა საჯარო მოხელე ადამიანზე ამბობს, რომ მან საწარმო თაღლითური სქემებით ჩაიგდო ხელში, ამ დროს საზოგადოებას კონკრეტული მტკიცებულებებიც უნდა წარუდგინო“, — განაცხადა მჟავანაძემ და დასძინა, რომ სწორედ ასე იწყებდა ნაციონალური მოძრაობაც — ჯერ მეწარმეს ბრალს სდებდნენ კორუფციაში და ხელისუფლების წევრებთან დანაშაულებრივ გარიგებაში და ამით ქმნიდნენ უარყოფით საზოგადოებრივ აზრს, შემდეგ კი ხდებოდა მისი დაპატიმრება, ფულის და ბიზნესის გამოძალვა.

მჟავანაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა ხელისუფლებამ ახლავე მიაქციოს ყურადღებას მსგავს დამოკიდებულებას და ქმედებებს მეწარმეების მიმართ.

**მედიანიუსი**

## უკანონო იარაღი ამოიღეს

თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1958 წელს დაბადებული ალექსანდერე ა. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ნაგანი“-ს ტიპის რევოლვერი და 20 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დასახელდა

## სალომე ზურაბიშვილი, შესაძლოა, მისი კონკურენტი იყოს

შორენა მარსაგიშვილი



დიდი მკითხაობისა და ფიქრის შემდეგ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელა. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მეოცნებეთა ფალავანი გიორგი მარგველაშვილი იქნება. არადა საპარლამენტო არჩევნებამდე ყველამ ვიცოდით, რომ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ალასანია უნდა ყოფილიყო.

ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილიც ხშირად საუბრობდა ხოლმე. ნაარჩევნებს კი პირველმა მეოცნებემ გვაუწყა: პრეზიდენტად ვახტანგ ხმალაძეს ვისურვებდიო. მერე ესეც გადაიფიქრა. 11 მაისს საპრეზიდენტო კანდიდატად განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი დაასახელა.

ნაციონალები და არა მარტო ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლოა ივანიშვილმა მარგველაშვილის კანდიდატურაც შეცვალოს. ჯერ ამის დრო ნამდვილად არის. იყო ჭორები რომ პრეზიდენტად კენჭს თავად ბიძინა ივანიშვილი იყრიდა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ივანიშვილს არაერთგზის მოუწოდა თავად ეყარა კენჭი. ქვეყნის პირველი მშრომელი ძალიან გაბრაზდა როცა შეიტყო რომ მეოცნებეთა ფალავანი გიორგი მარგველაშვილი იყო.

შალვა ნათელაშვილის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებით პრემიერმა ივანიშვილმა ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა.

– ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ჩვენს ხალხს, როდესაც უარი განაცხადა, პრეზიდენტად თვითონ ეყარა კენჭი და წარმოადგინა ამ პოსტზე სატელიტი-მარიონეტი თოჯინა, რომელიც იქნება მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი. ის წარდგენილია ივანიშვილის უსაფრთხოებისათვის, იმისათვის, რომ ის შეუზღუდავი ვადით იყოს ქვეყნის ლიდერი. მოგეხსენებათ პრემიერობა ვადაში არ იზღუდება, იგი შეიძლება იყოს ორჯერ, ექვსჯერ, რვაჯერ და ათჯერ. – აღნიშნა ნათელაშვილმა.

მისი თქმით, თუ ივანიშვილის 7 მილიარდს გავითვალისწინებთ, მაშინ ისინი კონკურენტუნარიანები არიან და თუ სიმართლეს, თავდადებას, პატრიოტიზმს მაშინ, მას ამ საქმეში კონკურენტი არ ჰყავს. შეგახსენებთ რომ ლეიბორისტებიდან საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილი იყრის კენჭს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მარგველაშვილის კანდიდატურა ნაციონალებმაც დაიწუნეს. ივანიშვილს მის მაგივრად სხვაც რომ წარედგინა ალბათ მასაც დააყრიდნენ ქოქოლას. თბილისის მერი ვარაუდობდა, რომ მეოცნებეთა ფალავანი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იქნებოდა.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის დავით დარჩიაშვილის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილი პირადად პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის კანდიდატია და კოალიციის წევრები უნიჭოდ ცრუობდნენ, თითქოს ამ კანდიდატურის შერჩევამ გააბედნიერა.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას დარჩიაშვილმა აღნიშნა, სინამდვილეში, კოალიციის ბევრი წარმომადგენელი, დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატით ძალიან უკმაყოფილ იყო, მაგრამ კამერებთან ბედნიერი სახეებით პოზიორობით პრემიერისთვის პირის მოწმენდას ცდილობდნენ..

– კოალიცია ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ივანიშვილი ერთპიროვნულად არ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს და კანდიდატი კოალიციასთან შეთანხმებით შეარჩია. ჩემი აზრით, ივანიშვილმა მარგველაშვილი სამი ფაქტორის გამო აირჩია. პირველი არის ის, რომ ურივეს უყვართ ფილოსოფიური მსჯელობები, რამოდენიმე წიგნი წაუკითხავთ და თავი ფილოსოფოსები ჰგონიათ. ამასთან, ისინი ერთნაირად ექსცენტრიულები არიან. როგორც ჩანს, მათ კარგად გაუგეს ერთმანეთს. მეორე ფაქტორია მარგველაშვილის განცხადებები რუსეთის როლზე და მასთან ურთიერთობაზე. ამ მხრივაც საერთო მსოფლმხედველობა აღმოაჩნდათ და მესამე, რაც ყველაზე მთავარია, მარგველაშვილი არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. ივანიშვილი მის გაკონტროლებას ადვილად შეძლებს. ჩემთვის ყველაზე საშიში ეს ფაქტორია. ის ბუტაფორიული პოლიტიკოსი და პრეზიდენტი იქნება, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ გამორიცხავს, პრემიერ-მინისტრმა საპრეზიდენტო კანდიდატურა შეცვალოს.

– მე კონკრეტულად ამ კანდიდატურაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, თავის დროზე, როდესაც რომის იმპერატორმა ნერონმა გადაწყვიტა, რომ თავისი დომინირების დემონსტრაცია მოეხდინა რომის საზოგადოებაზე, თავისი ცხენი აირჩია სენატში. ყველამ თავის დასკვნა გამოიტანოს. ჩვენი საზოგადოება არის ანგარიშგასაწევი ძალა, ჩვენი საზოგადოება იმსახურებს პატივისცემას და ღირსეულად მოპყრობას. რაც შეეხება კონკრეტულ კანდიდატურებს, პრემიერ-მინისტრი ხშირად იცვლის აზრს და ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვეა და მან კიდევ შეცვალოს აზრი ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მეოცნებეებმა თავიანთი კანდიდატურა შესაძლოა მართლაც შეცვალონ. მაგრამ იმას რა ვუყოთ ბატონო პრეზიდენტო, რომ სენატში ცხენი ნერონმა კი არა კალიგულამ წარადგინა? სანამ ასეთ განცხადებებს გააკეთებთ დედათქვენს მაინც დაეკითხეთ. ისტორიკოსია სხვა თუ არაფერი.

ნაციონალების და სხვათა მოსაზრებები მეოცნებეებს დიდად არ აინტერესებთ. კოალიციის წევრები ამბობენ, რომ მათ საუკეთესო კანდიდატი ჰყავს და მას კონკურენციას ვერავინ გაუწევს. მეოცნებეებს იმისაც სჯერათ რომ გიორგი მარგველაშვილი ძალიან კარგი პრეზიდენტი იქნება.

იმედიანად არის განწყობილი გიორგი მარგველაშვილიც. მეოცნებეებს ნდობისთვის მადლობას უხდის, ხალხს კი პირდება რომ იმედებს არ გაუცრუებს.

– მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ბიძინას ამ ბევრი დამავალებელი შექებისთვის და ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა ამ გუნდს – კოალიციას, რომელიც მე ასე მენდო. ბუნებრივია, ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პატივი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ნდობისთვის გუნდს, რომ ასეთი პოზიცია დაიკავა და მე იმედი მაქვს, რომ არ გავამტყუნო ამ ხალხის, მომავალში ქართველი ამომრჩევლის იმედი, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

ჯერ კიდევ განათლების მინისტრის თქმით, ამ ეტაპზე ის საარჩევნო კამპანიაზეა ორიენტირებული.

ამ დროისათვის მხოლოდ 2 საპრეზიდენტო კანდიდატია ცნობილი. ნაციონალები თავიანთი ფალავანის გამოვლენას პრაიმერის მეშვეობით აპირებენ. პრაიმერიში მონაწილეობას სავარაუდოდ გია ბარამიძე, დავით ბაქრაძე და ვანო მერაბიშვილი მიიღებენ. ყველაზე მეტი შანსი სწორედ დავით ბაქრაძეს აქვს. თბილისის მერი გიგი უგულავა იმედოვნებს, რომ მათი კანდიდატი დავით ბაქრაძე იქნება.

მეოცნებეთა ერთ-ერთ კანდიდატად სალომე ზურაბიშვილიც განიხილებოდა. 11 მაისს ის ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. არავინ არ იცის რაზე იყო საუბარი. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გუშინ ფოთში საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. „ტსპრესის“ ცნობით ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს.

მისი განცხადებით, საქართველოს ესაჭიროება დამოუკიდებელი კანდიდატი და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, ან პოლიტიკური გუნდის.

– მე არ გამოვრიცხავ, რომ მივიღო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არაა. დავაკვირდები საზოგადოების მხარდაჭერას ამ პერიოდში და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.



საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ალბათ კიდევ მრავალს შეუღიტინებს. ყველაზე მეტი შანსი ბუნებრივია გიორგი მარგველაშვილს აქვს. ბიძინა ივანიშვილის ხათრით რასაკვირველია. ალბათ საინტერესო იქნება მარგველაშვილის ბიოგრაფია.

გიორგი მარგველაშვილი 1969 წლის 4 სექტემბერს დაიბადა. მიღებული აქვს შემდეგი განათლება: 1998 წელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში; 1993-1996 წელი: მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი – დიპლომის შემდგომი სწავლება;

1993-1994 წელი: ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, დიპლომის შემდგომი სწავლება სოციოლოგიაში (პრაღა, ჩეხეთის რესპუბიკა); 1987-1992 წელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი ფილოსოფიაში (წარჩინებით), მასწავლებლის სერტიფიკატი.

სამუშაო გამოცდილება: 2012 წლის 25 ოქტომბრიდან დღემდე არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; 2010-2012 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი; 2006-2010 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი; 2000-2006 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი; 1995-2000 წლებში იყო საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ადგილობორივი ხელმძღვანელობის სპეციალისტი/პროგრამის კონსულტანტი; 1996-1997 წლებში მუშაობდა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, სადაც იყო ფილოსოფიასა და კულტურის ლექტორი;

1994-1995 წლებში იყო შპს „ბიზნესდღიურების“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

# დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე და ზაზა გოროზია რესტორანში გალახეს

## შსს-მ საქმე აღძრა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინდელი დღის გმირი მამუკა ბაკურია გახდა. ცოტნე ბაკურიას ძმამ რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად 20-მდე ნაციონალი გალახა. გალახულთა შორის დეპუტატები დავით საყვარელიძე და გიორგი ვაშაძეც არიან. ნაცემია სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ზაზა გოროზიაც.

ისტორიული ინციდენტი თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ლა ტრუფეში“ მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დროს იქ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილიც იყვნენ. ამბობენ რომ ისინი იქაურობას დაცვამ გაარიდა. სააკაშვილი რესტორანში ყოფნის ფაქტს უარყოფს. თუმცა მომხდარით ძალიან შეშფოთებულია.

„ლა ტრუფეში“ დატრიალებული ამბების გამო მშობლიურმა შსს-მ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ-რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის ფაქტზე სსკის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველელ განყოფილებაში აღიძრა.







სამინისტროს ცნობით, კლუბრესტორან „ლა ტრუფე -ში“, დაახლოებით 24:00 საათზე, რესტორნის ქვედა სართულზე, მაგიდებთან მსხდომ სტუმრებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა.

სამართალდამცველებმა საქმეზე მოწმის სახით უკვე დაკითხეს ბექა მაზიაშვილი, მამუკა ბაკურია და მანანა გიორგობიანი. ასევე დაიკითხა რესტორნის მომსახურე პერსონალი.

დაკითხული მოწმეები ჩვენებაში დეტალურად აღწერენ, რომ სტუმრებს შორის ჩხუბი 10-15 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. მათი განმარტებით, მომხდარი ინციდენტის დროს სტუმართა ნაწილმა რესტორანი დატოვა, მათ შორის იყო ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი მეუღლესთან ერთად.

მოწმეების თქმით, რესტორანში სტუმრად იყვნენ ასევე პარლამენტის წევრები, დეპუტატები: გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, თინათინ ბოკუჩავა, სამეგრელო – ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია და მათთან ერთად კიდევ რამდენიმე პირი.

სამართალდამცველები ჩვენებებში ნახსენებ პოლიტიკოსებს უახლოეს დღეებში დაკითხავენ. მათ შესაბამისი უწყებები უკვე დაეგზავნათ.

მომხდართან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობამ განგაშის ზარებს შემოჰკრა. პარტია მომხდარი ინციდენტის გამოძიებას ითხოვს. როგორც ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, აღნიშნული ინციდენტი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

– ეს არის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და რომლის აღსაკვეთადაც სამწუხაროდ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს. ამიტომ ჩვენ გუშინდელ ანგარიშსწორებაში მონაწილე ყველა ადამიანის დაკითხვას, ყველა დამნაშავის დასჯას მოვითხოვთ. გარდა ამისა, მოვითხოვთ შინაგან საქმეთა მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ პირად კონტროლზე აიყვანონ ეს საკითხი იმიტომ, რომ საქმე ეხება პარლამენტის წევრების წინაღმდეგ ფიზიკურ ანგარიშწორებას. ჩვენ მოვითხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ, შეწყდეს ამ ქვეყანაში ძალადობის კამპანია განსახვავებულად მოაზროვნე ადმაიანების მიმართ, – განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ.

ნაციონალური მოძრაობის წევრის გოკა გაბაშვილის თქმით კი, ეს იყო პოლიტიკურ ოპონენტებთან ფიზიკური ანგარიშწორების სურვილი.

– ეს არის მწვანე შუქი, რომ შეგიძლია პოლიტიკური ოპონენტების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2013, 13 მაისი, №111

# შალვა ხაჭაპურიძე: „გეების აღლუმი მერიის წინ უნდა ჩატარდეს“

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, საზოგადოებაში საკმაოდ დიდი დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია გეების აღლუმმა და ვიდრე პოლიტიკურ პროცესებს შევაფასებდეთ, მოდით, ჩვენც ამ თემაზე საუბრით დავიწყოთ...***

— რაც შეეხება გეების აღლუმს, როგორც ჩანს, ესეც პოლიტიკის ნაწილი გახდა. ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრი ამაში წლების განმავლობაში დიდ ფულს იღებდა და ამით აფინანსებდა თავის ორგანიზაციას. ახლა ეტყობა, ფული შემოაკლდათ, ამიტომ გადაწყვიტეს, ეს თემა კვლავ წინ წამოწიონ. ამას აუცილებლად დაუპირისპირდებიან გარკვეული ძალები. ჩვენ დედაეკლესიის შვილები ვართ და ეს გააღიზიანებს საზოგადოებას. შესაძლოა პროვოკაციებს და დაპირისპირებასაც ჰქონდეს ადგილი. ნაციონალური მოძრაობის წევრები კი ამას სათავისოდ გამოიყენებენ. მათი მიზანიც ხომ სწორედ ეს არის, გაიქცევიან დასავლეთში, არიქა, სექსუალურ უმცირესობებს ავიწროვებენ საქართველოშიო და ამაში დიდ ფულსაც იშოვიან. იმიჯსაც შეულახავენ სახელმწიფოს და იტყვიან: ნახეთ, მთელი ევროპა და ცივილიზებული სამყარო ამ ხალხს არ დასდევს და საქართველოში დასდევენ. თუმცა მინდა გითხრადთ საქართველოში არც არავინ არ დასდევს ამ ხალხს. მე ასეთი ფაქტები არც გამიგია. მე მგონი, აქეთ ეგენი დაგვსდევენ ჩვენ. ჩაატარონ, თუ უნდათ, ეს თავისი აღლუმი და იყვნენ. აბა, მე რა გითხრათ, გამოუყოს მერიამ ადგილი მერიის წინ, მაინც მაგათი ორგანიზებულია ყველაფერი, ზოგადად მაგ ხალხის შემოქმედებაა ეს ყველაფერი, ვინც ნაციონალებიდან შემორჩნენ. ჩაატარონ მერიის წინ და იყვნენ. სიმართლე გითხრათ, მე ამას თავისუფლად ვუყურებ.

***— უბრალოდ, შეიძლება პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი და ეს ახალი ხელისუფლების იმიჯს დააზარალებსო...***

— რატომ მოხდება ინციდენტები? პოლიცია დადგება და უზრუნველყოფს სიტუაციას, რომ არ მოხდეს პროვოკაცია. თუმცა ვინც ამას გეგმავს, ეს ყველაფერი სწორედ პროვოკაციისათვის აქვს გამიზნული. არა მგონია, საქართველოში ვინმე გეებს დასდევდეს და ნადირობდეს მაგათზე. ელემენტარული სისხლის სამართლის სტატისტიკა ავიღოთ, ხალხო, ნებისმიერ ცივილიზებულ განვითარებულ სახელმწიფოში თვე არ გავა, რომ მკვლელობა არ მოხდეს ამ ნიადაგის ფონზე. საქართველოში არ არსებობს მსგავსი ფაქტები. ამიტომ ეს არის ხელოვნურად გამოგონილი თემა. მე ვუყურე, შარშან იყო თუ შარშანწინ, მაგათი პარადის მცდელობა რომ იყო, გამოვარდა ერთი ჰომოსექსუალისტი და აქეთ ცემა დაუწყო მის მოწინააღმდეგეს. ასე რომ, ეს ყველაფერი პროვოკაციისათვის არის გამიზნული, მაგრამ ამ შემთხვევაში ღრმად ვარ დარწმუნებული ბატონი ღარიბაშვილის კეთილგონიერებაში. მე მისი მჯერა და ამას გამწვავება არ მოჰყვება. ვიღაცას სურს მიზანმიმართულად დაძაბოს სიტუაცია და ამიტომ კეთდება ეს ყველაფერი.

***— თქვენ ღარიბაშვილი ახსენეთ და არ შემიძლია აქვე არ გკითხოთ, საუბარია იმის თაობაზე, რომ დღეს გაცილებით მეტ ადამიანს უსმენენ, ვიდრე სააკაშვილის დროსო. რამდენად რეალურია ეს?***

— შარშან, 26 მაისს, მე დამირეკა ნიკა გოგუაძემ, რომელიც შემდეგ დაპატიმრებული იყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის და ჩემი სატელეფონო საუბარი, 27 მაისს უკვე დადეს ტელეკომპანია იმედში და რუსთავი ორზე. დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოიტანა ვინმეს საუბარი? ხალხში დღეს კიდევ არის ეს შიში, რომ მოდი, ნუ ვილაპარაკებთ, ვინმე ხომ არ გვისმენს. მე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში არ მინახავს, რომ ხელისუფლებას დაედოს ფარული სატელეფონო საუბრები. არ მომხდარა ეგეთი რამ, ფაქტია. წინა ხელისუფლების დროს კი ეს იყო ჩვეულებრივი ამბავი. არ არსებობდა არანაირი მოსამართლის სანქცია, არ არსებობდა არანაირი ნებართვა და პირდაპირ მტკიცებულებებად იყო ჩაკერებული საქმეებში. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში პირადად მე, არც ერთ სისხლის სამართლის საქმეში ასეთი მოსმენები არ მინახავს. ფაქტები არ არსებობს და თქმით ვისაც რა უნდა, იმას იძახის. ხომ იძახდნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიტიკურად გვდევნიან, გვდევნიანო, ახლა ჩუმად არიან, აღარ დევნიან თუ რა ხდება?! ახალმა ხელისუფლებამ გაარჩია მისიანი და წინა ხელისუფლება? მოხდა დანაშაული, დაკავებულები არიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები. ახლა მე იმათ უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცავ და არ ვიცი, ისინი დამნაშავეები არიან თუ არა, ამას გაარკვევს გამოძიება, მაგრამ ამ ადამიანებს ამ ეტაპზე შეფარდებული აქვთ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა. ფაქტია, რომ სადაც დაინახა ხელისუფლებამ დანაშაულის ნიშნები, იყვნენ ისინი ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ახლის, გააკეთა ის, რაც უნდა განეხორციელებინა. ახლა მტყუან-მართალს სასამართლო გაარკვევს. მე ამ მოსმენებს კატეგორიულად გამოვრიცხავ ახალი ხელისუფლების მხრიდან. ახლა თუ ვინმე მოსასმენია, იქნება, ალბათ, მოსამართლის სანქცია და ისე მოუსმენენ. ასე რომ, საზოგადოებას შეუძლია წყნარად იყოს და ირწმუნოს, რომ არავინ არავის არ უსმენს.

***— ბატონო შალვა, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდებაო. საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა ამ განცხადებამ, ხალხი სამართლიანობის აღდგენას ელოდება, ესენი კი ყოფილ ხელისუფლებას ყველაფერს პატიობენო. რამდენად არის ეს ასე?***

— ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი მაქვს ნაფიქრი, როგორც იურისტს, როგორც პოლიტიკოსს და მე ჩემი შეხედულება გამაჩნია. ასევე ვიცი უსუფაშვილის ეს განცხადება, ვუსმენ კუკავას განცხადებას და ასევე სხვადასხვა პოლიტიკოსების და პარტიების განცხადებებს. ანუ აქ არის აშკარად ორი აზრი. პირველი აზრი არის — მოდით, ვაპატიოთ, რაც ბატონმა უსუფაშვილმა განაცხადა, თუმცა მანამდე თეა წულუკიანმა გააკეთა განცხადება, სოზარ სუბარმა, ბატონმა პრემიერმა, მაგრამ რატომღაც წინა პლანზე წამოვიდა უსუფაშვილის განცხადება. კი ბატონო, უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეა და მას თავისი აზრი გააჩნია, მაგრამ მას ეს საკითხი კანონპროექტის სახით ხომ არ შეუტანია პარლამენტში? ჯერ რა იქნება, როგორ იქნება, კაცმა არ იცის. პრემიერმინისტრმაც ცალსახად განაცხადა და თქვა, რომ ჩვენ რამენაირად უნდა შევეცადოთ, რამენაირად უნდა გავაკეთოთ ისე, რომ აღდგეს სამართლიანობა, სამართლიანობა აუცილებლად აღდგება, ოღონდ ეს არ უნდა გადაიზარდოს შურისძიებაში. მოდით, ცოტა ექსკურსი გავაკეთოთ, ქართული ოცნება რატომ მოვიდა ხელისუფლებაში? იმიტომმ რომ შევხედეთ, სახელმწიფო არ აშენდა. ჩვენ არშემდგარი სახელმწიფო ვართ სამწუხაროდ და გვინდა, რომ ავაშენოთ სახელმწიფო. ანუ ჩვენ ფაქტობრივად დაბრუნებულები ვართ იმ პერიოდში, როდესაც პირველი სახალხო ხელისუფლება მოვიდა საქართველოში. ანუ გამსახურდიას ხელისუფლება. დაახლოებით იმ წერტილიდან ვიწყებთ ახლა ყველაფრის შენებას. რატომ ვიწყებთ იმ წერტილიდან? რამდენიმე მიზეზის გამო, გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს. შემდეგ მოვიდა შევარდნაძე და შევარდნაძის ხელისუფლება განდევნეს, მერე მოვიდა სააკაშვილი... ვინც მოდიოდა, რას აკეთებდა? წინა ხელისუფლების წარმომადგენელს, მტყუანი იყო ის თუ მართალი, დევნიდნენ. უამრავი მათგანი შემიძლია დაგისახელოთ გამსახურდიას მთავრობიდან, რომლებიც წლების განმავლობაში ციხეში ისხდნენ. ასევე წლების განმავლობაში დევნილობაში იყვნენ. რამდენიმე ადამიანი კვლავაც დევნილობაში იმყოფება და საერთოდ აღარ დაბრუნებულა. ჩვენ თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, გამარჯობა-გაგიმარჯოსავით. მე იმის თქმა მინდა, რომ ანგარიშსწორების პერიოდი საქართველოში უნდა დამთავრდეს.

***— დამნაშავემ პასუხი არ უნდა აგოს?***

— ქართული ოცნების სლოგანი იყო, რომ თქვენ თუ დანაშაული არა გაქვთ ჩადენილი, არავინ შეგეხებათ. რატომ არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები თანამდებობებზე დარჩენილები? ჩვენ გარკვევით ვაცხადებდით, რომ არავინ არავის დევნას არ დაუწყებს, მაგრამ მეორე მომენტია, თუ ადამიანს ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული, მან ამასთან დაკავშირებით პასუხი უნდა აგოს. საჩივრები რაც შესატანი იყო წინა ხელისუფლების იმ პირებზე, ვისაც დანაშაულობები აქვს ჩადენილი, შეტანილია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები...

***— თუმცა პროცესი ჭიანურდება, ბატონო შალვა...***

— მე ახლა თქვენ პასუხს გაგცემთ, როგორც იურისტი და კრიმინალისტი, რაშიც მე მიმუშავია წლების განმავლობაში. ერთკვირიანი გამოძიებების ეპოქა საქართველოში უნდა დამთავრდეს და პროცესიც ამას არ გავალდებულებს. როდესაც შენ უმძიმეს დანაშაულობებს იძიებ, ზოგან ეკონომიურია, ზოგან ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები, როდესაც შენ ასეთ საქმეებს იძიებ, ამას დიდი დრო სჭირდება.

***— შვიდი თვე არცთუ ისე ცოტა დროაო...***

— სწორედ რომ ცოტა დროა, მინდა გითხრათ. დამიჯდეს ნებისმიერი ოპონენტი და დავუმტკიცებ, რომ 7 თვე სერიოზული საქმის გამოსაძიებლად პატარა დროა. არ არის რა ესე, ჩვენ ისე გვინდა გავაკეთოთ, ერთი კაცის ჩვენებით რომ იჭერდნენ ხალხს სააკაშვილის პერიოდში?! გადაშალეთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ორისამი მოწმის ჩვენებაც კი საკმარისი არ არის, თუ იგი არა არის გამყარებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. ახლა წადით თქვენ და მოიძიეთ უტყუარი მტკიცებულებები. როგორი მოსაძიებელია.? ამიტომ საზოგადოებამ უნდა გაითავისოს ის, რომ გამოძიება რთული პროცესია. ჩვენ შევეჩვიეთ ამ ბოლშევიკური სტილის გამოძიებას, გაიყვანდნენ, ამოიღებდნენ მაუზერს, გლეჯდნენ და დააგდებდნენ ძირს. ნეობოლშევიკები იყვნენ ხელისუფლებაში აგერ სულ რამდენიმე თვის წინ. მაგალითად, ორ კაცს რომ დააკავებდნენ და ვთქვათ, ორივეს ნარკოტიკი ედო ჯიბეში, ეუბნეოდნენ, რომელიც იტყვით ახლა, რომ გამსაღებელი ის არის, მეორეს საპროცესოთი უშვებდნენ სახლში და პირველს 18-წლიან პატიმრობას უსჯიდნენ. ახლა ასეთი გამოძიება თუ გვინდა, ამას სჭირდება დაახლოებით ერთი კვირა და უცებ დამთავრდება ამბავი. ხოლო სერიოზულ გამოძიებას დიდი დრო სჭირდება. არც ის დაგავიწყდეთ, რომ კადრების სერიოზული პრობლემაა. პოლიციის და პროკურატურის გამოძიება არ არის ის საკითხი, რომ ქუჩიდან მოიყვან კადრებს და ჩააბარებ გამოძიებას. ამას სჭირდება უზარმაზარი პერიოდი და უნარ-ჩვევები. ასე ერთბაშად გაყარო ეს ხალხი ქუჩაში და სხვა მოიყვანო, ძნელია. მოიყვანოს ვინმემ კადრები, აბა, სად არის ეს კადრები?! ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაბმული. თორემ მე, რა თქმა უნდა, საზოგადოებას მხარს ვუჭერ, ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება სწრაფად და კარგად უნდა მოხდეს, მაგრამ ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა ჩატარდეს გამოძიება, ამას კი გარკვეული ვადები სჭირდება, სამწუხაროდ. მე, როგორც ადვოკატი, გეტყვით, რომ 50-მდე საქმე მაქვს შეტანილი პროკურატურაში და დღეის მდგომარეობით არც ერთი არ არის წარმართული სასამართლოში. ამ შემთხვევაში ადვოკატია ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, როდესაც შენი კლიენტი გეუბნება რა ხდება, მას ხომ დანაშაული აქვს ჩადენილი და ასე შემდეგ. თუმცა რა უნდა ვქნათ? გეუბნებით, რომ ნულიდან დაგვაწყებინეს ცხოვრება.

## პრეზიდენტი შეცდომისთვის ბოდიშს იხდის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეცდომისთვის ბოდიშს იხდის.

„მეგობრებო, მომიტევეთ, თუ რომის იმპერატორის ცხენზე საუბრისას უნებლიედ ნერონის სახელი წამომცდა კალიგულას ნაცვლად, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ლაფსუსზე მეტად შინაარსია გადამწყვეტი და სრულიად არ მახარებს ამ მაგალითის ჩვენი ქვეყნის კონტექსტთან დაკავშირება. მაინც ღრმად მწამს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“, — წერს სააკაშვილი ფეისბუქის თავის ოფიციალურ გვერდზე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი დღეს „ქართული ოცნების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის დასახელებას გამოეხმაურა და ეს ფაქტი კალიგულას მიერ საკუთარი ცხენისთვის სენატორის ტიტულის მინიჭებას შეადარა, თუმცა მან კალიგულას ნაცვლად, ნერონი ახსენა.

**პირველი**

## დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე და ზაზა გოროზია რესტორანში გალახეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წინააღმდეგ ანგარიში გაასწორო და სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნების გაჩენა ქვეყანაში, სადაც ადამიანები, გარკვეული აგრესიული ჯგუფები თვლიან, რომ შეუძლიათ ნებისმიერ ვითარებაში გამოიყენონ ძალა მათთვის მიუღებელი ადამიანების წინააღმდეგ, — აცხადებს გაბაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის დავით დარჩიაშვილის განცხადებით, კრიმინალურმა პოლიციამ, იმ პირებს, რომლებმაც პოლიტიკური მოტივით „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ტერიტორიის დატოვების საშუალება მისცა.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას დარჩიაშვილმა აღნიშნა, საპატრულო პოლიციამ ადგილზე მისვლისთანავე მომხდარ ფაქტზე ადეკვატური რეაგირება მოახდინა და მოწმეების დაკითხვა დაიწყო, თუმცა მოგვიანებით მისულმა კრიმინალურმა პოლიციამ პატრულს მოწმეებს დაკითხვის პროცესი შეაწყვეტინა.

დარჩიაშვილის თქმით, რესტორანში თავიდან შელაპარაკება პოლიტიკურ ნიადაგზე დაიწყო, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

— იმედია, საზოგადოებას ლოგიკური აზროვნება გააჩნია და არავინ იფიქრებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები ხალხს თვითონ ესხმიან თავს და ფიზიკური შეურაცხყოფა მათ დაიწყეს. როცა შეურაცხყოფას გაყენებენ, ან უნდა გაერიდო, ან გაარკვიო, რა მიზეზით მოგაყენეს შეურაცხყოფა. სამწუხაროა, მაგრამ როცა სიტყვიერი დაპირისპირება დაიწყო, რესტორნის ადმინისტრაციამ და დაცვამ სიტუაციის განსამუხტად არაფერი მოიმოქმედა, — აღნიშნა დარჩიაშვილმა.

მისივე თქმით, ზუსტად არ იცის, ვინ იყვნენ ჩხუბი წამომწყებები, თუმცა ვარაუდობს, რომ ისინი ინ იმ ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც „პოლიტპატიმრებს“ უწოდებენ თავს, ან კიდევ ხელისუფლების მხარდამჭერები.

,,ლა ტრუფეში“ მომხდარი ინციდენტის მონაწილის მამუკა ბაკურიას თქმით, შელაპარაკება ძველი თბილისის გამგებლის ნიკა მელიას მხრიდან დაიწყო.

— ვიყავი ჩემს სამ მეგობართან ერთად, მათ შორის ორი მანდილოსანი იყო. ჩემს სუფრასთან მყოფ მანდილოსანს რაღაც შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთმა. შელაპარაკება მოხდა ვინმე მელიასთან, რომელიც არის გამგებელი. წამოვდექი, როცა მივხვდი, რომ სიტუაცია დაიძაბა, ამ ბატონს ვუთხარი, ასე არ შეიძლება და თუ შეიძლება მიბრძანდით თქვენს მაგიდასთანთქო. ამ ჩემს ჟესტს იმათი სუფრიდან მოჰყვა რამდენიმე კაცის წამოწევა და პირდაპირი ღია აგრესიის გამოხატვა დედის გინებით და მუშტით, — აცხადებს ბაკურია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია რესტორანში მომხადრი ჩხუბის დეტალებს იხსენებს.

„პირველ რადიოსთან“ ინტერვიუში ზაზა გოროზია ყვება, რომ ის რაც რესტორანში მოხდა, პროვოკაცია იყო. გოროზიას თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ადგილზე მყოფი რამდენიმე პირი მიუთითებდა, რომ აღნიშნიშნული ტერიტორია დაეტოვებინათ, რადგან მათ ვაკესა და ვერაზე ქეიფის უფლება არ ჰქონდათ.

— შეიძლება რომ 30 კაცი ვყოფილიყავით და სამს ვეცემეთ? ყველა ვეუბნებოდით, რომ გაჩერებულიყვნენ მაგრამ ჩხუბი უნდოდათ. ვაკესა და ვერაზე თქვენ ვერ იქეიფებთო გვაძახებდნენ და თქვენი დრო წავიდაო, ეს ყველაფერი სპეციალურად გააკეთეს. ყველა ხვდებოდა რომ იყვნენ მოსულები იმისთვის, რომ მოეწყოთ ის რაც გააკეთეს, წარმოიდგინეთ რომ 30 ადამიანი რომელიც ერთმანეთის მეგობარია ზის და მოდის ვიღაც ორი, ვინც ურევს სიტუაციას, ახლა კი ამბობენ რომ გვცემესო. ხელი მაქვს მოტეხილი მაგრამ ამაზე არაა საუბარი, აქ მთავარია ამაზრზენი ფაქტი რომელიც მოხდა, ის რომ გეუბნებიან, თურმე საქართველოში არ უნდა დაჯდე რესტორანში, იმიტომ რომ ხარ სხვა პოზიციაზე, ესაა ამაზრზენი, — აცხადებს ზაზა გოროზია.

საქართველოს მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, რესტორანში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია და თუ რა მოხდა რეალურად, ამის შესახებ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

— მხოლოდ ის ვიცი, რომ მიმდინარეობს გამოძება. სხვა რაიმე ინფორმაცია, გარდა იმისა, რაც მედიასაშუალებით გავრცელდა, ამ ეტაპზე არ არსებობს. მიმდინარეობს გამოძიება, — განუცხადა კბილაშვილმა ჟურნალისტებს.

ის რაც მოხდა ნამდვილად სამარცხვინოა. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ნაციონალებს რესტორანში პოლიტიკური ნიშნით დაესხნენ თავს. იმედია გამოძიება სიმართლლეს დაადგენს და დამნაშავეებს დასჯის. მართალია კოჰაბიტაცია მძვინვარებს მაგრამ დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ნაციონალებს დიდი ამბები აქვთ ატეხილი დეპუტატები გალახესო. ეს მართლაც ძალიან ცუდია. მაგრამ მაშინ რატომ დუმდით ვალერი გელაშვილი და კობა დავითაშვილი თქვენმა ზონდერებმა სასიკვდილოდ რომ გაიმეტეს? ერთიც და მეორეც დეპუტატები იყვნენ.

# ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი მოადგილე დაიჭირა

## რა ედება ბრალად გელა ხვედელიძეს

შორენა მარსაგიშვილი



3 მაისს ჩვენი საზოგადოება შოკში ჩააგდო ინტერნეტით გავრცელებულმა კადრებმა. ეს კადრები გიორგი ფარესაშვილის პირად ცხოვრებას ასახავდა. ფარესაშვილმა კადრებს ფაბრიკაცია უწოდა და მათი გავრცელება რამდენიმე პიროვნებას დააბრალა, მათ შორის გია ხუხაშვილისა და შს მინისტრის მოადგილის გვარებიც ფიგურირებდა.

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანა და პირობა დადო, რომ საქმეს ძალიან მალე გამოიძიებდა. მინისტრმა დანაპირები 8 დღის თავზე შეასრულა.

გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა გვამცნო, რომ ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების გამო შს მინისტრის პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე დააკავეს.

– მინდა, საზოგადოებას ვაცნობო, რომ სწრაფი და ეფექტური გამოძიების შედეგად ჩვენ გავხსენით და დავადგინეთ იმ დანაშაულის ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც დაკავშირებულია გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან. პირველი, კადრები გადაღებულია წინა ხელისუფლების კუდ-ის მიერ, ცხადია, უკანონოდ, გიორგი ფარესაშვილზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და ფარულ თანამშრომლობაზე დაყოლიების მიზნით; მეორე, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს და სხვა კადრები დაილუქა დადგენილი წესით, თუმცა არ გვაქვს იმის გარანტია, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში არ არის ასლები; მესამე, ამ და სხვა უკანონო კადრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვა პირებთან ერთად, მინდობილი ჰქონდა ჩემს ყოფილ პირველ მოადგილე გელა ხვედელიძეს. და მეორეთხე, პირადად ჩემთვის ეს არის ძალიან არასასიამოვნო ფაქტი. ჩემმა პირველმა მოადგილე გელა ხვედელიძემ, სამწუხაროდ, ჩაიდინა არა მარტო დანაშაული, არამედ მოხელისათვის და მით უმეტეს შს სამინისტროს თანამშრომლისთვის შეუფერებელი საქციელი. მან არაადეკვატურად და მტკივნეულად მიიღო მის მიმართ მედიით გავრცელებული უსაფუძვლო ბრალდებები და ფარესაშვილზე შურისძიების მოტივით, დამოუკიდებლად განათავსა ეს კადრები ინტერნეტ-სივრცეში. ჩემი ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე დაკავებულია, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებამ, როგორც უკვე ვთქვით, დიდი ამბები გამოიწვია. ამ საქმის გახსნას ნაციონალებიც დაჟინებით ითხოვდნენ. საქმე გაიხსნა და მინისტრის მოადგილე დააკავეს.

ამ ამბავს სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბაშვილის ქმედებით აღფრთოვანებულია.

ჩვენი საზოგადოება გადაჩვეული იყო, რომ დამნაშავე მაღალჩინოსნები ისჯებოდნენ. გავიხსენოთ ვანო მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდი. მაშინდელ მაღალჩინოსნებს უამრავი საშინელება ჰქონდათ ჩადენილი. სამწუხაროდ, არავინ დაუსჯიათ. დაჭერასა და მოხსნას ვინ ჩივის, დამნაშავეებს ხშირად აწინაურებდნენ.

# შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა სისხლი გაიღეს

გუშინ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პროექტის „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ ფარგლებში, სისხლი გაიღეს.

მოხალისეთა დონაციის აქცია სახელწოდებით – „ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს“ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ამჯერად ბათუმში გაიმართა.

შემოსავლების სამსახური სისხლის დონაციის საქველმოქმედო აქციაში პერმანენტულად მონაწილეობს. პროექტი „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ გრძელდება და, შესაბამისად, მომავალში, საქველმოქმედო პროექტში შემოსავლების სამსახურის სხვა დეპარტამენტების თანამშრომლებიც ჩაებმებიან.

**მედიანიუსი**

# შსს-მ 10 წლის მოზარდის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში მცხოვრები, 1967 წელს დაბადებული ალექსი ნ. არასრულწლოვანზე განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ცნობით, დაკავებულმა 2013 წლის მარტში თანასოფლელ 10 წლის მოზარდზე სექსუალური ხასიათის ძალადობა განახორციელა. მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალექსი მ. მიმალვის მიზნით ახმეტის რაიონის სოფელ მაღრაანში მეგობართან გაემგზავრა, სადაც სამართალდამცველებმა დააკავეს. ბრალდებული ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს. დაკავებულ ალექსი მ.-ს ბრალს დღეს წაუყენებენ. გამოძიება 14 წლამდე ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც 15-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს

**მედიანიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალების წინააღმდეგ პროკურატურაში 20 ათასი საჩივარი შევიდა“

## რატომ გვიანდება სამართლიანობის აღდგენა

შორენა კოწოწაშვილი

**რა შანსები აქვთ ნაციონალებს საპრეზიდენტო არჩევნებში, რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება და რატომ არის სუსტი სამართლიანობის აღდგენის პროცესი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.**



***– ბატონო გელა, რამდენად აისახა საკანონმდებლო დონეზე სამართლიანობის აღდგენის პროცესში ხელისუფლება ნება და რეალურად რა ვითარება გვაქვს დღეს ამ კუთხით?***

– ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ამ ნებას მკაფიოდ გამოხატავენ, თუმცა როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიმღებები ისინი არ არიან. გადაწყვეტილებას ის ადამიანები იღებენ, რომლებიც ზედმეტი სიფრთხილით ეკიდებიან, ხშირად ერთ ადგილას ტკეპნიან და საქმე საუბრის იქით არ მიდის. მხედველობაში მაქვს როგორც სამართლებრივი დევნის დაწყება და დანაშაულების სააშკარაოზე გამოყვანა ყოფილი ხელისუფლების, ისე განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულების რეაბილიტაცია, იქნება ეს მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია თუ უსამართლოდ სამსახურიდან დათხოვნილი, უფრო სწორად, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან განდევნილი ადამიანების ისევ ისეთ მდგომარეობაში დატოვება. დღეს ადამიანებს აქვთ განცდა ერთ შემთხვევაში ციხიდან გამოსულ უდანაშაულოდ გასამართლებულებს, რომ ჩვენ გარეთ ვართ მსჯავრდებულებად და ისევ დამნაშავეებად ვითვლებით, ის პროკურორები, რომლებიც უსამართლოდ გვდევნიდნენ, ისევ თავის ადგილებზე არიან და ამჯერად ახალი ხელისუფლებას ემსახურებიან. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული თითქოს დაივიწყეს. არც არავინ არის მათი მომკითხავი საქმით, სიტყვებს თუ არ ჩავთვლით, ზოგიერთი მათგანი დააწინაურეს კიდეც. ბიზნესწართმეულები და პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებულები ამბობენ, ჩვენ ისევ უმუშევრები ვართ და ისინი, ვის გამოც ჩვენ გაგვათავისუფლეს და ვინც მიუყვანეს შემდგომ ნაციონალებმა თავიანთი მომხრეები თუ ნათესავ-მეგობრები, ისინი ისევ სამსახურებში მუშაობენ და ეს ხელისუფლება ამბობს, ჩვენ არავის არ შევეხებით. ასე რომ, უსამართლობის განცდა აქვთ, როგორც ქონება ჩამორთმეულებს და ბიზნესჩამორთმეულებს, როგორც სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებს. ნაციონალი პოლიტიკოსები კი დღეს ისევ ზემოდან თითის ქნევით გვესაუბრებიან, თითქოს ამ დანაშაულებში მათი წილი არაფერი ყოფილიყოს და თითქოს ეს დანაშაულებრივი სისტემა მათ არ შეექმნათ. ასე რომ, საზოგადოებაში არის განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება. ხელისუფლების ვალია, რომ ეს განცდა როგორმე გაანელოს. მესმის, რომ ამ ყველაფრის გაკეთება ერთი ხელის მოსმით ძნელია, მაგრამ ნაბიჯები ამ მიმართულებით უფრო მკაფიო უნდა იყოს და უფრო შედეგზე ორიენტირებული და არა მხოლოდ ლაპარაკი, რომ 15 თუ 20 ათასი განცხადებაა შესული და იქედან 15-20 კაციც არ არის დაკმაყოფილებული. როგორც მინიმუმ, ამ ადამიანებიდან ნახევარი მაინც სამართლიანად აყენებს თავის მოთხოვნას, მაგრამ შედეგები, ჩემი ინფორმაციით, მაინცდამაინც ხელშესახები არ არის.

***– რატომ არის სამართლიანობის აღდგენის პროცესი ასეთი სუსტი, რატომ ვერ მიდის მკვეთრ ნაბიჯებზე „ქართული ოცნება“ და არის თუ არა დამნაშავე პროკურორებზე ხელის დაფარება ის, რასაც დღეს ვხედავთ?***

– როგორც ჩანს, არის შიში იმისა, რომ ერთი ხელის მოსმით ყველას პასუხისგებაში მიცემა ან სამსახურიდან გათავისუფლება გამოიწვევს ახალი მტრების შეძენასა და ხელისუფლების წინააღმდეგ მკვეთრ განწყობას, თუმცა ტენდენცია არ უნდა იყოს, რომ ასეთ ადამიანებს აწინაურებდნენ და მათგან დაჩაგრული ხალხი, როდესაც მიდის პროკურატურაში საჩივლელად, ისევ მათი ხელის შემყურე უნდა იყოს და ხშირად იმ ადამიანებს ვისაც უჩივიან, სწორედ ეს ადამიანები ხვდებიან ამ საჩივრების განმხილველად. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რა შედეგიც იქნება, ყველასთვის ცნობილია. როგორც ჩანს, ხელისუფლება მკვეთრ ნაბიჯებს ერიდება. ეს მე მესმის. მაგრამ ტენდენცია არ არის გამოკვეთილი, რომ ამ მიმართულებით რაღაც-რაღაცები ხდება ანუ თუნდაც ოდიოზური პროკურორები მაინც ან შსს-ს თანამშრომლები არ უნდა ინიშნებოდნენ ასეთ გამოსაჩენ ადგილას. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, მათ სისტემიდან უნდა უშვებდნენ. ხოლო თუ ამ ეტაპზე ვერ უშვებენ, მათი პოზიციები დაქვეითებისკენ უნდა მიდიოდეს და არა განმტკიცებისა და გაძლიერებისკენ.

***– კანონებში აისახა, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია მართლმსაჯულების ობიექტური განხორციელებით. ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, დაცვის კუთხით ისე გარკვეული შეზღუდვებია, რომ საპროკურორო სახელმწიფო ყალიბდება.***

– ამ პოზიციას მეც შეიძლება შევუერთდე იმიტომ, რომ თუნდაც თანაბარ პოზიციებში ჩაყენებული, მხარეებისთვის თანაბარი პირობების შექმნა, რაც არის დეკლარირებული როგორც ხელისუფლების, ისე კანონმდებლობის მიერ რეალობაში, რა თქმა უნდა, არ ხდება. აშკარა იყო, ხელისუფლების წარმომადგენლები ამას ეთანხმებოდნენ. უფრო მეტიც, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც რაღაც ნაბიჯები იდგმებოდა პროკურორისა და ადვოკატის უფლებების გათანაბრების მიმართულებით, მაგრამ, როცა პარლამენტმა მიიღო ეს შეთავაზებები, მათ დაადგინეს, რომ ეს ცვლილებები კანონიერ ძალაში უნდა შევიდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან ანუ, ფაქტობრივად, წელიწად-ნახევრის შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ აი, რა კარგი კანონი მივიღეთ, მაგრამ არ ავამუშავეთ. ეს ყველაფერი იმას ჰგავს: აი, აუზი და თუ კარგად მოიქცევით, წყალსაც ჩაგისხამთო. 2014 წლის 1 სექტემბრისთვის რა იქნება, ღმერთმა იცის. ასე რომ, ამ თვალსაზრისით პრეტენზია მეც მაქვს. ვფიქრობ, მეტი ძალისხმევაა საჭირო სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, ზეწოლა პარლამენტზე, თუნდაც ჩვენი ყოფილი კოლეგების მხრიდან, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან და მათი გამოყენება. მე მათ სამოქალაქო საზოგადოების ლობისტებად მივიჩნევ, ვგულისხმობ ეკა ბესელიას, შალვა შავგულიძეს, მანანა კობახიძეს და იმ პირებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებიდან მივიდნენ. უნდა აქტიურობდნენ თინა ხიდაშელი და დავით უსუფაშვილიც, რომლებიც ან წინააღმდეგობას უწევენ იმ პროგრესულ ნაბიჯებს, რომლებიც შედის პარლამენტში, თვითონ უნდა ლობირებდნენ ასეთ ნაბიჯებს. ამ თვალსაზრისით მე მათი მხრიდან მეტ აქტიურობას მოველი.

***– ზოგიერთი უფლებადამცველი ფიქრობს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ძალოვანი უწყებები ისევ ძლიერდება. თქვენც ასე ფიქრობთ? ეს აზრი იქიდან გამომდინარეობს, რომ მათი აზრით, ახალი ხელისუფლების იმიჯი დაბლა მიიწევს.***

– მე არა მაქვს იმის შიში, რომ ეს ხელისუფლება ნაციონალების გზას დაადგება, რადგან ჯერ ერთი თავისი შინაგანი კონსტრუქციით არ არიან ასეთები; მეორეც, მათ წინ აქვთ ძალიან კარგი გაკვეთილი რა შედეგებით დაამთავრა ნაცმოძრაობამ; და მესამე, საზოგადოება უკვე არის მობილიზებული და ამის საშუალებას არ მისცემს. მაგრამ ის, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას და საბნის გადაწევას თავის მხარეს, ფაქტია. კანონი რა არის? ურთიერთობა, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. ბუნებრივია, როცა სახელმწიფოს წარმოადგენ და მისი ინტერესების დამცველად მიიჩნევ თავს, ცდილობ, სასწორი შენ მხარეს გადახარო და მეტი უფლებები შენკენ იყოს. ნებისმიერი ხელისუფლება დგას ამ ცდუნების წინაშე. გონიერი ხელისუფლება იცავს ბალანსს და უფრო შუალედს პოულობს, რომ ორივეს ინტერესები იყოს დაცული. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მცდელობები იქნება ძალოვანი უწყებების გაძლიერების, მაგრამ ამას, ვფიქრობ, გაძლიერებული სამოქალაქო საზოგადოება სერიოზულ კონტროლს გაუწევს. რაც მთავარია. ნაციონალების მიერ შექმნილი სისტემა მონგრეულია, რომელიც ტოტალურ მოსმენებსა და თვალთვალზე და პოლიტიკურ რეპრესიებზე იდგა. რადგან ეს სისტემა მოიშალა, ვფიქრობ, მის რეანიმაციას საზოგადოება არ დაუშვებს.

***– ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ უმრავლესობის შიგნით დაპირისპირებაზე. ეს აისახება ქვეყნის მართვაზე? ბევრი ფიქრობს, რომ უმრავლესობაში ყველაზე გავლენიანები რესპუბლიკელები არიან.***

– ვფიქრობ, კულუარული ბრძოლები და დაჯგუფებებს შორის წინააღმდეგობები ყველა ხელისუფლებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ეს არ უნდა გასცდეს ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებს, თორემ იმავეს მივიღებთ, რაც იყო ნაციონალების დროს. დღესაც ამბობენ, რომ რამდენიმე პიროვნება იღებს გადაწყვეტილებებს. არ ვიცი, რამდენად მართალია, რასაც გია ხუხაშვილზე ამბობენ, რომელსაც რუხ კარდინალად წარმოაჩენენ. თუ მართლაც ასეთი რამ ხდება, ეს ქვეყნისთვის იქნება საზიანო. სხვა მხრივ შიდა კონკურენცია პარტიებს შორის გასაკვირი არაა. ეს რომ არ ყოფილიყო, ეს უფრო გასაკვირი იქნებოდა. ივანიშვილის ფიგურა დღეს იმდენად მყარია და მხარდაჭერილი, რომ ის დღეს ყველაფერს აბალანსებს და ეს ტენდენცია ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არის.

***– დაბოლოს, ნაცმოძრაობა პრაიმერით გეგმავს პრეზიდენტობის კანდიდატის გამოვლენას. პრაიმერში მონაწილეობას გია ბარამიძეც გეგმავს, რომლის თაობაზეც ხელისუფლებაში მოსვლამდე კოალიციის ლიდერები საუბრობდნენ, რომ ის სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის გამო სს პასუხისგებას იმსახურებს.***

– ნაციონალებს ჰყავთ ძლიერი და გამოცდილი პოლიტიკოსები. ამ გამოცდილებისა და სიძლიერის ნიშნით ისინი გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ არ ჰყავთ კონკურენტუნარიანი კანდიდატი, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს „ქართული ოცნების“ კანდიდატს. შეფარდება შეიძლება სადღაც ასეთი იყოს – 80/20. სააკაშვილი იმასაც არ ელოდა, რა შედეგიც ნაძალადევში მიიღეს შუალედურ არჩევნებში და ამიტომ თქვა: ჩვენი რეანიმაცია იწყებაო. რაც შეეხება კონკრეტულად ბარამიძესა თუ სხვებს, ყველა მათგანი იმის გამო, რომ ამ ბინძურ პოლიტიკაში არათუ ჩართული, არამედ ამ ბინძური პოლიტიკის და სისტემის შემოქმედი, რომელმაც მოიტანა ამდენი უბედურება ქვეყანაში, დაწყებული ტერიტორიული მთლიანობის რღვევით და დამთავრებული ადამიანების ცემა-წამებით და ფიზიკური განადგურებით, ისინი არიან პასუხისმგებლები. განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიდან ვერც ერთი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. პოლიტიკური პასუხისმგებლობა იქნება ეს, მორალური თუ სისხლის სამართლებრივი, მთელი სიცოცხლის მანძილზე მათ ეს ტვირთი ექნებათ. ამიტომ არანაირი შანსი მათ არ გააჩნიათ. მართალია, ბაქრაძე ახალაიებთან შედარებით ნაკლებად ოდიოზურია, თუნდაც სააკაშვილთან და მერაბიშვილთან შედარებით. მაგრამ ისიც იმ გუნდის ნაწილია და პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება. ასე რომ, სასაცილოა მსჯელობა, რომ ნაციონალებს რაიმე შანსი აქვთ საპრეზიდენტო არჩევნებში.

# უნდა მოხდეს თუ არა მარიხუანას ლეგალიზება

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრთან, მედიცინის დოქტორ თამარ ცინცაბაძესთან



***— ჯანდაცვის მინისტრმა სერგიენკომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დედათა და ბავშვთა საბჭოსთან შეიქმნება ჯგუფი, რომელიც იმუშავებს აბორტის საკითხზე. რას ფიქრობთ ამ პრობლემაზე, რომელიც ეკლესიამ კიდევ ერთხელ დასვა დღის წესრიგში? ხართ მომხრე აბორტის აკრძალვის და მისი აკრძალვა ხომ არ გამოიწვევს სიცოცხლისათვის სახიფათო არალეგალური აბორტების გავრცელებას?***

— ვიდრე აღნიშნულ საკითხზე მოგახსენებთ მოსაზრებას, მინდა შევეხო ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარება. მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერას შორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 5.4 მილიონიდან 4.3 მილიონამდე შემცირდა და თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება 2025 წლისთვის, სავარაუდოდ, იგი 3.9 მილიონის ტოლი გახდება. ამავე პერიოდში მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემიგრირებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება; მკვეთრად შემცირდა შობადობა; საგრძნობლად გაიზარდა მოკვდაობა; შობადობისა და მოკვდავობის მაჩვენებლები თითქმის ერთმანეთს გაუთანაბრდა, არსებითად დაწყებულია დეპოპულაციის (მოსახლეობის რაოდენობის შემცირების) პროცესი; 2-ჯერ შემცირდა ქორწინებათა რაოდენობა. ბოლო წლებში აღინიშნება დადებითი ტენდენცია შობადობისა და ქორწინებათა რიცხვის ზრდაში, რაც უდავოდ სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ წინმსწრები საგრძნობი გაუარესების შემდეგ მცირედი მატება ქვეყნისთვის სასურველ სურათს ვერ ქმნის. მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების მძიმე პროცესი. გაეროს მოსახლეობის მსოფლიო ფონდის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ქართველ ექსპერტთა გათვლებით, დემოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაშია შეტანილი. ქართველი ერი შეიძლება გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აქვს ამა თუ იმ სახის დემოგრაფიული პრობლემა, მაგრამ განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან საქართველოს წინა ხელისუფლებამ ვერ გაითავისა, ვერ ან შეგნებულად არ იგრძნო ეს ეროვნული საფრთხე. ვერ გახადა საზოგადოებრივი განსჯის საგანი, დიდი ეროვნული სატკივარი, ვერ ჩამოაყალიბა ერის ფიზიკური გადარჩენის სტრატეგია და პოლიტიკა. იმედია დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხს სათანადო ყურადღებას დაუთმობს. ის დადებითი ძვრები, რაც ქვეყნის ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებლის მხრივ აღინიშნება, ძირითადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და საპატრიარქოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებებისა და, ნაწილობრივ, სააღრიცხვო სისტემის გაუმჯობესების შედეგია. რომ არაფერი ითქვას დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და აქ აბორტის, როგორც ერთ-ერთი ფაქტორის, უარყოფით როლზე, თავისთავად სიცოცხლის მოსპობა ჩანასახში უმძიმესი ქმედებაა. აქედან გამომდინარ,ე ეკლესიის ინიციატივა აბორტის აკრძალვის შესახებ გასათვალისწინებელია, კანონზე მუშაობა დასაწყებია და მოსაძებნია ისეთი ფორმულირება, რომელიც თავიდან აგვაშორებს სხვა სახის გართულებებს, მათ შორის არალეგალური აბორტის რიცხვის ზრდას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით; გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც აბორტის საჭიროება სამედიცინო ჩვენებით არის განპირობებული. აუცილებელია პარალელურად სხვა მიმართულებითაც მუშაობის გაძლიერება, რადგან მხოლოდ ერთი კანონი სასურველი შედეგის მომტანი ვერ იქნება. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო განათლების უდიდესი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით. არ უნდა დავივიწყოთ პრევენციული ღონისძიებების როლი და ადგილი აბორტის, ასეთი მძიმე გამოსავლის, თავიდან აცილების საქმეში. სისტემატურად უნდა მოხდეს საზოგადოების გაცნობიერება და ინფორმირება, რომ ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა, ერი უნდა გამოფხიზლდეს, დაირაზმოს, იგრძნოს პასუხისმგებლობა. უნდა შეიქმნას არა მარტო ზოგადი პირობები, არამედ განსაკუთრებული მატერიალური სტიმულები ერის გამრავლებისათვის, ახალშობილთა აღზრდისა და მოვლისათვის, ქალთა ჯანმრთელობის დასაცავად. გარკვეული როლი ენიჭება ეკონომიკის განვითარებას, დასაქმების მიმზიდველი გარემოს შექმნას, რაც ქვეყანაში მცხოვრებთა მძლავრი, მრავალშვილიანი ოჯახების შექმნის წინაპირობაა.

***— ამ საკითხში უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული ქვეყნის ტრადიციები და კულტურა?***

— ქვეყნის ტრადიციები, კულტურა, მოსახლეობის მენტალიტეტი, მისი განწყობა გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ ამ, არამედ ყველა საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა სრულიად გამართულმა კანონმა არ მოიტანოს სასურველი შედეგი, ან ზოგჯერ მდგომარეობის გაუარესებაც გამოიწვიოს.

***— სერგიენკოს პრესკონფერენციაზე აქტუალური იყო აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების დავალიანების თემა. იქნებ განმარტოთ, რა იგულისხმება ამაში და რატომ დასვა კობა დავითაშვილმა კორუფციის არსებობის შესახებ კითხვები ამ სფეროში? ეთანხმებით თუ არა დავითაშვილს იმაში, რომ სერგიენკოს კორუფციულ გარიგებებზე ვარაუდები გამოთქვა და თუ არ ეთანხმებით, იქნებ გვითხრათ, რატომ?***

— თუ რატომ წამოჭრა საკითხი კობა დავითაშვილმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაძლო კორუპციულ გარიგებებზე, თავად მას უნდა ჰკითხოთ. საერთოდ ვთვლი, რომ ადამიანების დადანაშაულება ობიექტური საფუძვლის გარეშე არ შეიძლება. რაც შეეხება ჯანდაცვის სექტორის მიმართ სადაზღვევო კომპანიების დავალიანების საკითხს, ის დროულად უნდა იქნეს შესწავლილი და შემდეგ მოიძებნოს მისი აღმოფხვრის გზები, რადგან ეს უქმნის პრობლემას სამედიცინო დაწესებულების პერსონალს, სამედიცინო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და საბოლოოო ჯამში ზიანს აყენებს მოსახლეობამდე სამედიცინო მომსახურების სრულყოფილ, ხარისხიან და შეუფერხებლად მიწოდებას.

„დემოკრატიულ მოძრაობას“ არაერთხელ დაუფიქსირებია პოზიცია, რომ სამედიცინო მომსახურების თავისუფალ საბაზრო-ეკონომიკურ ქარგაში განხილვამ და თვითდარეგულირების მოლოდინმა შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს. სამედიცინო ბაზარზე სოციალური დანიშნულების სახსრების კომერციალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი საზედამხედველო რეგლამენტისა და მოსახლეობის, როგორც სამედიცინო მომსახურების მომხმარებლის, სათანადო კულტურის არარსებობის პირობებში ვერ იქნებოდა სიკეთის მომტანი. ასეთი დაუბალანსებელი ურთიერთობანი, ცხადია, უარყოფითად აისახებოდა პაციენტის მომსახურების ხარისხზე, მის უფლებებსა და მდგომარეობაზე. აუცილებელია გაძლიერდეს სახელმწიფო, როგორც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების უმნიშვნელოვანესი დამკვეთი და ზედამხედველი დღევანდელ უმართავ და მოუწესრიგებელ სამედიცინო ბაზარზე. რაც უფრო განვითარებული და ძლიერია ქვეყანა, მით მეტია სახელმწიფოს როლი და წილი ჯანდაცვის სექტორში. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვისათვის სათანადო მოცულობის სახსრების მობილიზება და ის, რომ ჯანდაცვისთვის გამიზნული სახსრები დაიხარჯოს ავადმყოფების სამკურნალოდ, სამედიცინო პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად და არა სხვა მიზნებისთვის. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა — საჯარო სამართლის — სტრუქტურებმა, რომელთა არსი არის ჯანდაცვის სფეროსათვის გამოყოფილი თანხის ეფექტური და სამართლიანი ხარჯვა. რა თქმა უნდა, კერძო სექტორი აქტიურად უნდა იყოს და იქნება კიდეც ჩართული ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში და, უდავოდ, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს დაზღვეულის ინტერესების იგნორირების ხარჯზე. იმედია, დღევანდელი ხელისუფლება შესძლებს არსებული მძიმე რეალობის გათვალისწინებით, სწორი გადაწყვეტილების მიღებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლების ზრუნვას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საზოგადოება ვერ იგრძნობს მხოლოდ ბიუჯეტის ციფრებისა და პროგრამების პათეტიკური დასახელებების მოსმენით. მოსახლეობა ამ ზრუნვას დაინახავს დანაპირების შესაბამისი, მისთვის ხელმისაწვდომი, რეალური გამოკვლევების, სამკურნალო დახმარების, წამლის მიღებით.

***— კვლავ აქტუალურია სეფსისცენტრისა და ონკოლოგიურის საკითხი. ხომ არ იგეგმება ამ ორი მიმართულების გაერთიანება და თუ არა, მაშინ რა პერსპექტივა აქვს დამოუკიდებლად ამ მიმართულებების განვითარებას?***

— არა მგონია, საუბარია ამ ორი მიმართულების გაერთიანებაზე. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროში ამა თუ იმ მიმართულებასა და მისი განვითარების საკითხს, უმთავრესია საკითხი გადაწყდეს ისე, რომ არ დავკარგოთ საქართველოში წლების განმავლობაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების არც ერთი მისხალი და არ ვავნოთ ხალხს. საერთოდ ის ვნებათაღელვა, გაურკვევლობა, რაც ჯანდაცვის სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში აღინიშნება, მნიშვნელოვაწილადაა განპირობებული იმით, რომ სამედიცინო უზრუნველყოფა არ არის ერთიან მწყობრ სისტემაში მოქცეული. არ არსებობს დარგის მშენებლობისა და განვითარების მკაფიო, სახელმწიფოებრივი მიდგომის ამსახველი, გრძელვადიანი და საჯარო განხილვების გზით საზოგადოებრივად შეთანხმებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნებოდა სფეროს მკაფიო კონტურები, მოწყობის უმთავრესი პრინციპები, სახელმწიფო გარანტიების ძირითადი არსი, მთავარი მოქმედი სუბიექტები, ამ სუბიექტთა შორის უფლებებისა და ვალდებულებების განაწილების სქემა, განვითარების ორიენტირები და ვადები.

***— მარიხუანას ლეგალიზების საკითხი დგას. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით? რას გამოიწვევს მისი ლეგალიზება ან აკრძალვა?***

— რაც შეეხება საკითხს მარიხუანას ლეგალიზების შესახებ, ის ცალკე კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ ქვეყნის ერთიანი ანტინარკოტიკული პოლიტიკის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

დღეს არავისთვისაა საიდუმლო ის ფაქტი, რომ საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და არასწორი ანტინარკოტიკული პოლიტიკის გამო, შესაძლოა გახდეს ნარკოტიკული საშუალებების გადატანის მთავარი სატრანზიტო დერეფანი. ბოლო პერიოდში ევროპაში საქართველოს გავლით შედიოდა 5-8 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება წელიწადში. ექსპერტთა აზრით, საქართველოში 200 000-მდე ნარკომანია. თბილისში ჩატარებული კვლევებით მოზარდთა 27%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული რომელიმე ნარკოტიკული საშუალება. აღარ გავაგრძელებ ამ მიმართულებით ძალიან მძიმე მონაცემების ჩამოთვლას. არსებული რეალობა ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს მართებული ანტინარკოტიკული პოლიტიკა, რომელიც ვთვლი, რომ უნდა დაეფუძნოს შემდეგი სახის მიდგომას — ნარკოტიკის გამსაღებელი უნდა დაისაჯოს, მომხმარებელი წახალისდეს სამკურნალოდ. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებასა და პრევენციული ღონისძიებების დანერგვასა და გაფართოებას.

საერთოდ, როდესაც ვღებულობთ გადაწყვეტილებას რაიმეს აკრძლვისა თუ დაკანონების შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ არსებული რეალობა; როგორც აბორტის აკრძლვის, ისე მარიხუანას დაშვების საკითხი უნდა იქნეს განხილული ჯანმრთელობასთან, დემოგრაფიასთან, დასაქმებასთან, კრიმინალთან და სხვა ფაქტორებთან მიმართებაში.

## პატრიარქმა ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი აკურთხა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ფოთის ღვთისმშობლის ახლადდღდგენილ ტაძარში გუშინ, კვირაცხოვლობასთან დაკავშირებით საზეიმო წირვა აღავლინა და ბრძანა, რომ ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი საქართველოს განახლების და აღდგომის სიმბოლოა.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ტაძრის აღდგენა და კურთხევა მიულოცა და ყველას მადლობა გადაუხადა, ვისაც ამ საქმეში წვლილი მიუძღვის.

,,დღეს ჩვენ შევთხოვეთ უფალს, რათა მოგვანიჭოს მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა. ადამიანის ცხოვრება, ისევე, როგორც მთელი ერის ცხოვრება, განსაცდელებით არის სავსე, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი განაგებს ამ ქვეყანას და ყოველი ადამიანის ბედს. უფალი იქ წყვეტს და აქ სრულდება“, — ბრძანა უწმინდესმა და ქართველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე გაიხსენა, რომლის უშუალო ჩარევით და მოღვაწეობით აშენდა ფოთიც და საკათედრო ტაძარიც.

როგორც მან აღნიშნა, ის მოხარული და ბედნიერია, რომ დღევანდელ წირვას ნიკო ნიკოლაძის პირდაპირი შთამომავალი სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა.

პატრიარქმა საკათედრო ტაძრის კურთხევა და აღდგენა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლსაც მიულოცა და წმინდა ამბროსი ხელაიას ხატი გადასცა.

ილია მეორემ ტაძრის აღდგენაში პრეზიდენტის მიერ შეტანილი წვლილიც აღნიშნა.

**მედიანიუსი**

## მეუფე იაკობი: „არ დავუშვებთ იმას, რომ რაღაც მოგვახვიონ თავს“



სამების საპატრიარქო ტაძარში ბოდბის ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა 17 მაისს ლგტბ-ს მიერ დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით იქადაგა და ბრძანა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ეყოფიან ისინი ერს, რატომ უწოდებენ თავიანთ თავს უმცირესობას, როცა ჩვენ ერთი ერი ვართ.

,,არ მგონია, ოდესმე ჩვენგან დაცინვა ან ზემოდან ყურება ეგრძნოთ. სირცხვილია, როდესაც აქციას ატარებ იმისთვის, რომ შენს პატრონებს უცხოეთში აჩვენო, რომ ტყუილად არ გიხდიან გრანტს. ყველამ კარგად ვიცით, რამდენი მილიონი იყო თუნდაც შარშან შემოდინებული, რამდენი ფული ირიცხება იმისათვის, რომ კონკრეტული ადამიანები აამოქმედონ და რაღაც მღელვარება გამოიწვიონ ერში. ვინ როგორ ცხოვრობს თავის სახლში, ეს ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ როდესაც გამოდიხარ და რაღაცას გვიქადაგებ, რის გამოც შენი წინაპრები სისხლს ღვრიდნენ, უნდა დაფიქრდე“, — ბრძანა მეუფე იაკობმა.

როგორც მან აღნიშნა, თუ უცხოეთში ვინმე მხარს უჭერს უსამართლოდ დაჩაგრულებს, თავის ქვეყანაში დაუჭირონ მხარი. საქართველოშიც იყო ძალადობა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებზე, მაგრამ არავის არაფერი გამოუხატავს ამის გამო.

,,უნდა შევეცადოთ, რომ ერში შფოთი არ შემოვიტანოთ, თორემ მოვა 15 იქნება, 19 თუ 20 რიცხვი და ვნახავთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, რადგან ჩვენ არ ვართ მოძალადეები, მაგრამ არ დავუშვებთ იმას, რომ რაღაც მოგვახვიონ თავზე. ერს თავისი ზნეობა აქვს და უნდა გავუფრთხილდეთ მას“ — აღნიშნა მეუფე იაკობმა.

**მედიანიუსი**

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, 1974 წელს დაბადებული გიორგი შ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველებმა თბილისში, გლდანში, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 0,4831 გრ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ გიორგი შ-ს „ოპიუმი“-ს ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდგინა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

**მედიანიუსი**

## დაჭრასა და ძარცვაში ბრალდებული პირი დააკავეს

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს და ჩოხატაურის რაიონული პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზაზა მ. ორი ადამიანის დაჭრისა და ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულმა 3 მაისს ქალაქ ოზურგეთში, აკაკი ბაქრაძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით რევაზ მახარაძე და გელა კობალაძე დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულმა წარსულში ოზურგეთის პურის ქარხნიდან დანის მუქარით 600 ლარი გაიტაცა. სამართალდამცველებმა ზაზა მ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ჩოხატაურში დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას „მაკაროვი“-ს ტიპის პისტოლეტის 4 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების; ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების და ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 118-ე, 236-ე, 178-ე მუხლებით).

**მედიანიუსი**

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „პარლამენტის უფლებები უნდა გაძლიერდეს“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ კონსტიტუციონალისტთან, პროფესორ ავთანდილ დემეტრაშვილთან**

***— ბატონო ავთანდილ, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, საკონსტიტუციო ცვლილებები კვლავ განხორციელდება, როგორი უფლებები ექნება ახალ პრეზიდენტს?***

— დღეს, რთულია მსჯელობა, თუ როგორი იქნება პრეზიდენტის ინსტიტუტი ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. არა იმიტომ, რომ ახალი რედაქციით ეს არ არის გარკვეული, არამედ იმიტომ, რომ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ოქტომბრამდე კონსტიტუციის რაღაც ნაწილი გადაისინჯება. რა იგულისხმება ამ ცვლილებებში, ვერ გეტყვით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებამდე უნდათ დაყვანა. მთლიანად ჩამოაცილონ ის უფლებამოსილება, რომელიც არასაპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს. არ გამოვრიცხავ მეორე ვარიანტსაც, შეიძლება პრეზიდენტის უფლებამოსილება გაიზარდოს და გახდეს კლასიკური ნახევარ საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორიც არის საფრანგეთში. ბიცეფალურ სისტემაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ორი მეთაური ჰყავს — პრეზიდენტი და პრემიერი, მაგრამ არა მგონია, რომ ამ იდეას მხარი „რესპუბლიკურმა“ პარტიამ და დავით უსუფაშვილმა დაუჭირონ. მაინც ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს არ შეეხება ცვლილებები. პარლამენტი და საკონსტიტუციო კომისია იზრუნებენ იმაზე, რომ პარლამენტის როლი გაიზარდოს. ამისთვის საჭირო არის რამდენიმე მუხლის შეცვლა, რაზეც მსჯელობა იქნება.

***— თუ არ მოხდება ცვლილებები, რა სტატუსი გააჩნია პრეზიდენტს, კონკრეტულად რომ გვითხრათ, ის არის არბიტრის ფუნქციის მქონე, დამბალანსებელი თუ მაინც აქვს ფუნქციები, რომელიც გარკვეულ პირობებში ამოქმედდება?***

— ცნობილი კონსტიტუციონალისტები: ანდრაშ შაიო და სტივენ ფიში აცხადებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესახებ შეიძლება ვთქვათ: პრეზიდენტი ძალიან ახლოს არის ქმედითი არბიტრის ფუნქციასთან. ისეთი ქმედითი არბიტრი, როგორიც არის პორტუგალიაში, პოლონეთში. კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტი დისტანცირებული არის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ეხება, გარდა ერთი შემთხვევისა.

***— რა შემთხვევაა ეს?***

— როდესაც გენერალური შტაბის უფროსს ნიშნავს, მაგრამ ეს მთავრობასთან შეთანხმებით ხდება.

***— მხოლოდ გენერალური შტაბის უფროსს?***

— არა, ბევრ სხვასაც ნიშნავს. მაგალითად: საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს. თუმცა, ერთ-ერთი ცვლილება, რაც შევა კონსტიტუციაში, იქნება ის, რომ პრეზიდენტი აღარ მიიღებს მონაწილეობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებაში. ასევე ნიშნავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ცესკოს ფორმირებაში იღებს მონაწილეობას. რაც შეეხება საგარეო მიმართულებას, ის ამ სფეროში ძალიან შეზღუდულია. მოლაპარაკებებს მხოლოდ მთავრობის თანხმობით ახორციელებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას მთავრობის თანხმობის გარეშე ვერ დადებს. ამდენად, პრეზიდენტი არის არბიტრი, იგი თვალყურს ადევნებს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას. არის დიქტატორი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ძალიან ძლიერი უფლებამოსილება გააჩნია.

***— კონკრეტულად რა შემთხვევაში ამოქმედდება პრეზიდენტის მიძინებული უფლებამოსილება?***

— სერიოზულად საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას ამოქმედდება. საგანგებო მდგომარეობისას იმდენად არა, რამდენადაც საომარი მდგომარეობის დროს. საომარ მდგომარეობაში ის დიქტატორია.

***— ანუ ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს...***

— დიახ, ერთპიროვნულად არეგულირებს ურთიერთობებს მის მიერ გამოცემული დეკრეტებით. დეკრეტს კი კანონის ძალა აქვს. დეკრეტი მოქმედებს მანამ, სანამ საომარი მდგომარეობა იქნება.

***— გამოდის, კონსტიტუციის ამ რედაქციით ბუტაფორიული არ არის პრეზიდენტის ინსტიტუტი?***

— ნამდვილად არ არის ბუტაფორიული. სახელმწიფო მმართველობის ქვაკუთხედი აღარ არის, მაგრამ მისი ჩამოლაბორანტება სწორი არ იქნება. პრეზიდენტი რჩება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად. ეროვნული უშიშროების საბჭო არის მისი სათათბირო ორგანო.

***— მოქმედი რედაქციითაც ასეა...***

— დიახ და ეს რჩება. ამ საბჭოში შედის პრემიერ-მინისტრი, ძალოვანი მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, როგორც დღეს არის, მაგრამ პრეზიდენტს ეროვნულ უშიშროების საბჭოში სხვა პირების დანიშვნაც შეუძლია. გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია, ხალხს მიმართოს. პრეზიდენტი ვალდებულია წელიწადში ერთხელ პარლამენტს მდგომარეობის შესახებ მოახსენოს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აღარ აქვს, თუმცა ვიმეორებ, მიმართვის და რჩევის უფლება აქვს. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრთან შედარებით ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია აქვს, რადგან ხალხის მიერ არის არჩეული.



***— ხალხისგან აქვს პირველადი ლეგიტიმაცია...***

— დიახ, პრემიერს მეორადი ლეგიტიმაცია აქვს.

***— უამრავი განცხადება გაკეთდა კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან დაკავშირებით, ბევრი შენიშვნაა და ახალი საკონსტიტუციო კომისიაც იქმნება, როგორ ფიქრობთ, მაინც რას შეეხება ცვლილებები?***

— ვფიქრობ, რომ პარლამენტი ამ ეტაპზე იზრუნებს, თავისი უფლებამოსილება განამტკიცოს.

***— რომ ბუტაფორიული აღარ იყოს და თავისი ფუნქცია, როგორც მაკონტროლებლის, გააძლიეროს?***

— დიახ, პარლამენტი უკვე აღარ არის ბუტაფორიული.

***— ეს უკვე ვნახეთ.***

— ახალი რედაქციის მიხედვითაც. პარლამენტი გათავისუფლდა პრეზიდენტის წნეხისგან. პრეზიდენტის ვეტო უფრო რბილია, ვიდრე დღეს არის. პარლამენტის როლი რეალურად გაიზარდა, მაგრამ რომ ვთქვა, ძალიან ძლიერია, ასე არ არის. თუმცა, მაშინაც, როდესაც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის გარკვეული მუხლები შესაცვლელია.

***— მაგალითად?***

— 81-ე მუხლი, რომელიც, რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალის.

***— რა არის ის, რაც არ მოგწონთ ამ მუხლში?***

— არ მომწონს პარლამენტის საკონტროლო ფუნქციების დაკნინება. პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, რომ მთავრობის საქმინაობა აკონტროლოს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, შემცირდა მისი შესაძლებლობები, ვინაიდან უნდობლობის ვოტუმის ნაირსახეობა იყო შემოღებული. ეს საშინელება არის. პრაქტიკულად პარლამენტს აღარ შეუძლია, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. წელიწადი შეიძლება უნდობლობის ვოტუმი გაგრძელდეს. ამ დროს გვეყოლება მთავრობა, რომელსაც ნდობა არ აქვს გამოცხადებული. ამდენად, უნდა გადაიხედოს 81-ე მუხლი. კიდევ ერთი საკითხი, რასაც საზოგადოებამ უკვე მიაქცია ყურადღება, ეს არის პრემიერის უფლება, ცვალოს მთავრობის შემადგენლობა ისე, რომ აღარ ეკითხება პარლამენტს. ვფიქრობ, უნდა შენარჩუნდეს ის ნორმა, რომლის მიხედვით თუ მთავრობის ერთი მესამედი შეიცვალა, მაგრამ არა ნაკლებ ხუთისა, მაშინ ახალმა მთავრობამ ახალი ნდობა უნდა მიიღოს. ახალი რედაქციის მიხედვით შეიძლება ნდობა მიიღოს, მაგრამ მეორე დღეს მთლიანად შეცვალოს მთავრობა. მეორე საკითხი, ვინ უნდა შეასრულოს მთავრობის მოვალეობა, როდესაც ხდება ახლი მთავრობის ფორმირება? მაგალითად, ოქტომბერში არჩევნები რომ ჩატარდება და პრეზიდენტი ფიცს დადებს, ამის შემდეგ პრეზიდენტი ვალდებული ხდება, იგივე მთავრობას დაავალოს მოვალეობის შესრულება, ამ შემთხვევაში შეიძლება ახლი მთავრობის ფორმირება უსასრულოდ გაგრძელდეს და ჩვენ გვყავდეს მთავრობა, რომელსაც პარლამენტის ნდობა არ აქვს. ვიმეორებ, უნდა შეიცვალოს მე-80 მუხლი, 81-ე მუხლი, 81-ე პრიმა მუხლი.

***— პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა თავის გაზრდილ უფლებამოსილებაზეც ისაუბრა. მოხდება მისი უფლებების დაბალანსება?***

— ერთი, მას არ შეუძლია, წამდაუწუმ ცვალოს მთავრობის შემადგენლობა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

***— ამას დატოვებს ახალი კომისია?***

— ვერ გეტყვით. თუ პარლამენტი ფიქრობს მმართველი კონიუნქტურული ნორმების შენარჩუნებას, მაშინ არ შეეხებიან. ზოგადად, რა თქმა უნდა, ყველა ხელისუფლება ცდილობს თავისი პოზიციის გამყარებას, თუ არ იქნება სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ინსტიტუტების მხრიდან ზეწოლა. ამ სიტუაციაში, რამდენადაც მე ვიცი, „რესპუბლიკელები“ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეები არიან. ამიტომ კონსტიტუციის რეფორმის მეორე ეტაპზე შეეცდებიან, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შემცირებას. საზოგადოება ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრს ძალიან დიდი უფლებამოსილება აქვს. პრეზიდენტს არ შეუძლია გამოსცეს აქტი, თუ არ დაეთანხმა პრემიერ-მინისტრი. ჩვენ პრეზიდენტის ინსტიტუტზე მხოლოდ გაწერილი უფლებების მიხედვით ვმსჯელობთ, მაგრამ რეალობაში არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განაპირობებს მის რეალურ როლს. წარმოუდგენელია, მაგრამ რომ დავუშვათ და საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, როგორი იქნება მისი როლი? რადგან მას საპარლამენტო უმრავლესობა არ ჰყავს, არც მთავრობა, ის მართლაც სიმბოლური პრეზიდენტი გახდება. მეორე სიტუაციაში, გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში სრული ჰარმონია იქნება. პრეზიდენტის როლი უფრო მაღალი იქნება. რა თქმა უნდა, პიროვნებებზეც არის დამოკიდებული. თუ მარგველაშვილი ამბიციური იქნება, მისი როლიც სხვა იქნება. კონსტიტუციის მიხედვით მას შეუძლია სამართლებრივად რეალური ფიგურა იყოს, მაგრამ თუ პოლიტიკურად იგი სუსტი არის, მხარდაჭერა არ ექნა, მაშინ ის ისეთივე პრეზიდენტი იქნება, როგორც დღეს გვყავს პრეზიდენტი. სააკაშვილს უზარმაზარი უფლებამოსილება აქვს, მაგრამ ვერ იყენებს. არ იყენებს, რადგან იცის ხალხის არჩევანი. ამდენად, პრეზიდენტი კონსტიტუციურად არბიტრია, მაგრამ შეიძლება მმართველიც გახდეს ანუ პირველი პირიც კი იყოს.

***— ბატონო ავთანდილ, თქვენ ამბობთ, ეს პიროვნებაზე, მის ამბიციურობაზე და პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული?***

— დიახ. ბევრი ფაქტორი არის ამის მიღმა. როგორი პოლიტიკური კონფიგურაციაა, სამოქალაქო საზოგადოება როგორია, საზღვარგარეთი როგორ უყურებს.

***— მაინც რა უმთავრესი თვისება უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს?***

— ნეიტრალური უნდა იყოს, პარტიის წევრი არ უნდა იყოს, პატრიოტი უნდა იყოს და ამბიციური, მაგრამ არა კონფლიქტური. რასაკვირველია, განათლებული პიროვნება უნდა იყოს. პირადი თვისებებიდან მნიშვნელოვანია, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი გააჩნდეს.

# დეკრეტული შვებულება 15 თვით უნდა განისაზღვროს?

მერი ნამორაძე

ახალი შრომის კოდექსი, რომელიც ნაწილობრივ დაწუნებული აღმოჩნდა, დეკრეტულ შვებულებებთან მიმართებაში ბევრს არაფერს ცვლის. დასაქმებული ორსული ქალბატონებისათვის ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, ალბათ, კვლავ 4 თვე დარჩება, მაგრამ რა დააშავეს დაუსაქმებელმა ქალბატონებმა, რომლებსაც შვილის გაჩენა სურთ? დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ავთანდილ სულაბერიძე მიიჩნევს, რომ ასეთი დამოკიდებულება არათანაბარ პირობებში აყენებს ორსულ ქალბატონებს.

***—ბატონო ავთანდილ, როგორ ფიქრობთ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, რა ცვლილებების შესვლაა სასურველი ახალ შრომის კოდექსში ორსულობის პერიოდში ქალბატონების უფლებების დასაცავად?***

— ერთი მომენტია აქ, საминისტრომ უნდა განსაზღვროს დეკრეტული შვებულების კონკრეტული ვადები. მე მიმაჩნია, რომ სადღაც 15 თვემდე უნდა იყოს დეკრეტული შვებულება. ანუ ორსულობის მეშვიდე თვიდან ბავშვის ერთ წლამდე. დღევანდელ ვითარებაში დამხმარე არ ჰყავს ქალს, ბავშვის ყოფნა დედასთან სასარგებლოა დედისთვისაც და ბავშვისთვისაც. გარდა ამისა, არის კვების პრობლემები — სამსახურში გაიქცეს დედა, უკან გამოვარდეს რომ აჭამოს ბავშვს, ან ძიძა აიყვანოს, ძალიან ბევრ პრობლემას ქმნის. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ 15 თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს დეკრეტული შვებულება. მაგრამ დგება მეორე პრობლემა. ეს ყველაფერი ეხება დასაქმებულ ქალბატონებს. ცალკე უნდა იქნას მიღებული კანონი დაუსაქმებელი დედების შესახებ, რომლებიც დაფეხმძიმდნენ, მაგრამ უმუშევრობის გამო დეკრეტული შვებულება არ ერგებათ. არათანაბარი პირობები გამოდის ფეხმძიმე ქალთა შორის. ვინც დასაქმებულია ის დეკრეტულ შვებულებას იღებს ხელფასის ნაწილის სახით, ფინანსურად უკეთეს პირობებშია. ვინც არ მუშაობას იმან რა ქნას? რომ გათანაბრდეს ეს ყველაფერი, ვფიქრობ, რომ მათ ცალკე უნდა მისცენ დეკრეტული შვებულება. და საერთოდ ეს შვებულება შეეხოს როგორც დასაქმებულს, ასევე დაუსაქმებელს, რათა თანაბარ პირობებში იყვნენ. იმიტომ, რომ ისედაც დაუსაქმებელია, სიღარიბის პირასაა, სოციალურად დაუცველია და ფეხმძიმობის პროცესშიც ძალიან სუსტად არის დაუსაქმებელი ქალი.

***— საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ასეთია — თუ არაფერი აქვს და ძალიან უჭირს, შვილს რაღას აჩენს?!***

— არ არის სწორი. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება აქვს, ხომ?! შვილი უნდა და არ მუშაობს, რა ქნას, არ გააჩინოს? ელოდოს, როდის დაიწყებს მუშაობას? მაგრამ აქ არის სამართლიანობაზე საუბარი — თუ ქალების მიმართ რაიმე ჟესტს ვაკეთებთ, მაშინ ყველა ქალი ერთნაირია ფეხმძიმობისას. აქამდე იძახდნენ, რომ ცუდი შრომის კანონმდებლობის გამო ქალები უარს ამბობდნენ ფეხმძიმობაზე. მაგრამ მე არ მაქვს იმის იმედი, რომ კანონმდებლობა თუ შეიცვლება, დასაქმებული ქალები დემოგრაფიულ რევოლუციას მოახდენენ. უბრალოდ, საუბარია, რომ დეკრეტული შვებულება მეტი ხანგრძლივობით ექნებათ. ქალთა პრობლემების მოგვარება დემოგრაფიული პოლიტიკის მეზოდონეა, რომ ნორმალურად იმშობიაროს, ნორმალურად გაატაროს საკონსულტაციო პერიოდი ფეხმძიმობისას, შემდეგ ბავშვს მინიმუმ ერთ წლამდე მოუაროს სახლში. ამისთვის მას სახსრები სჭირდება და სახელმწიფო თუ პოლიტიკურ ნებას გამოთქვამს შობადობის ზრდისკენ, ეხლა რომ ვსაუბრობთ აბორტებზე, აბორტის აკრძალვა არ გაზრდის შობადობას, იმიტომ რომ აბორტი კეთდება სწორედ არასასურველი ბავშვის მოსაცილებლად. მაგრამ როცა დედას შვილის ყოლა უნდა და ჩვენ ხელოვნურად ვაფერხებთ ამას, დაუსაქმებელი და სოციალურად დაუცველი ქალბატონი მყავს მხედველობაში, იმას უნდა შევუწყოთ ხელი, სწორედ ფეხმძიმობის პროცესში მეშვიდე თვიდან. უკეთესი იქნება, თუ მესამე თვიდან დაიწყება გარკვეული დქახმარების მიცემა ბავშვის მუცელში მოსავლელად.

***— მაინც რა თანხა შეიძლება გაიცეს?***

— დაახლოებით, საარსებო მინიმუმის 20-დან 30 პროცენტამდე. შემდეგ ბავშვს უნდა მივცეთ დახმარება დაბადებიდან — 40 ლარი იქნება ეს თუ 50 ლარი. მანამდე კი ფეხმძიმე ქალს მივცეთ მე-7 თვიდან, რომ გამოიკვებოს, ჯანმრთელი ბავშვი დაბადოს, თვითონაც ჯანმრთელი იყოს და მშობიარობა არ გართულდეს.

***— სხვა ქვეყნებს თუ აქვთ ამგვარი პოლიტიკის გამოცდილება?***

— სხვა ქვეყნებს ისეთი პოლიტიკა აქვთ, გადაირევით, შვეციაშია, საფრანგეთშია და ბევრგან არის. მე ვსაუბრობ მინიმალურს, მაგრამ სხვა ქვეყნებს რას ვუყურებთ? ჩინეთში არ



აქვთ, მაგალითად. ამიტომ არ გავაკეთოთ საქართველოში?

თქვენ წლამდე ბავშვებზე ყოველთვიური დახმარების გამოყოფა ახსენეთ, ამისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას „იუნისეფი“, სოციალური დაცვის მინისტრმა კი მოწოდებაზე პასუხად განაცხადა, რომ ეს თანხა რაღაცას უნდა მოვაკლოთო და როგორც ჩანს, ჯერ ვერაფერს აკლებენ!

ამას დაახლოებით 25 მილიონი ლარი დასჭირდება ყოველწლიურად ბიუჯეტიდან. ეს უნდა იყოს სისტემა და არა რაღაც ფონდებიდან გამომდინარე. სახელმწიფომ უნდა ჩადოს 25 მილიონი ლარი პირველ ეტაპზე, თუ შობადობის ამაღლების პოლიტიკური ნება გააჩნიათ, თორემ აბორტების აკრძალვით შობადობა არ გაიზრდება. თვითონ პრემიერმაც ბრძანა, რომ სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შედეგად გაიზრდება შობადობაო, ანუ აქ საქმე გვაქვს ქალთა დაცვასთან და ოჯახის დაცვასთან. ვიდრე სილატაკე არ დაიძლევა ქვეყანაში, სერიოზულ დემოგრაფიულ პოლიტიკას ვერ გავატარებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დედათა და ჩვილთა მოკვდაობა გავზარდოთ, უარესი შედეგები მივიღოთ. ამიტომ ის მინიმალური თანხა სილატაკის პირობების მქონე ქვეყანამ უნდა გაიღოს.

სოციალური დაცვის მინისტრს სწორად უთქვამს, მას ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოუყოს საამისოდ თანხები. შეიძლება რომელიმე სამინისტროს მოაკლონ. ეს უნდა იყოს ხელშეუხებელი თანხა, რომელის მხოლოდ დამოგრაფიულ მიზნებს მოხმარდება. ანუ სახელმწიფო სისტემაში უნდა იყოს ისეთი მოწოდება, პოლიტიკური ნება, რომ ეს საქმე გაკეთდეს. ამით მოვხსნით ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემას, მეორეს მხრივ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემას, რადგან ჯანმრთელი ბავშვები დაიბადებიან. ეს არ არის ისეთი პრობლემა, რომ სახელმწიფომ ვერ გადაჭრას.

# კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტები ცნობილია. სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის მერაბ ბოჭოიძის გადაწყვეტილებით, ეტაპობრივად იმართება შეხვედრები და მსჯელობა იმ საკითხებზე, რაც ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას გადაარჩენს.

ცნობილი გახდა, რომ გელათის ღვთისშობლის ტაძრის წმიდა მარინეს ეკვდერის და სამხრეთ კარიბჭის ფრესკების კონსერვაცია დაიგეგმა. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ, მისი განმხორციელებელი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრია. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი — პროექტის დირექტორი მაკა დვალიშვილი, რესტავრატორები გურამ ჭეიშვილი და სანდრო რუბაშვილი, სამეცნიერო ხელმძღვანელი — ნანა კუპრაშვილი.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც საქმიანობის 15 წლის გამოცდილება აქვს. ცენტრი ძირითადად ახორციელებს საერთაშორისო პროექტებს ისეთ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით როგორიცაა მსოფლიო მონუმენტების ფონდი, პოლ გეტის ფონდი, პრინც კლაუსუს ფონდი და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები. ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტმა „ტიმოთესუბნის ტაძრის ფრესკების კონსერვაცია“ 2006 წელს მიიღო ევროკომისიის „ევროპა ნოსტრას“ ევროპული კულტურული მემკვიდრეობის პრიზი. 2008 წელს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ნომინაციით გელათის მონასტერი შევიდა მსოფლიო მონუმენტების ფონდის 100 ძეგლის სიაში.

ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ გელათის მონასტერში წმიდა მარინეს ეკვდერისა და სამხრეთ კარიბჭის ფრესკებზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

— გელათის მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობა უნიკალურია, იმდენად რამდენადაც აქ ქართული საეკლესიო მხატვრობის თითქმის მთელი ისტორია, მისი განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპია წარმოდგენილი; მათ შორისაა სამხრეთ კარიბჭის და წმიდა მარინეს ეკვდერის კედლის მხატვრობაც, რომელიც სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება. სამხრეთის კარიბჭის ფრაგმენტულად შემორჩენილი მოხატულობა 1360-1395 წლებს მიეკუთვნება და პალეოლოგოსური სტილის განვითარების გვიან საფეხურს ასახავს. წმიდა მარინეს ეკვდერის XV-XVI საუკუნის მოხატულობა გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებული ე.წ. ხალხური ნაკადის მოხატულობების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, — აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA

ამერიკის ელჩის ფონდის პროექტის ფარგლებში ფრესკებზე ჩატარდა გადაუდებელი პრევენციული კონსერვაცია, მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის დაზიანებების აღმოფხვრა; კერძოდ, მოხდა კედლიდან მოშორებული მოხატულობის ბათქაშის ადგილების გამაგრება; წინა სარესტავრაციო ჩარევისას შევსებებსა და ქიმებზე გამოყენებული ცემენტისა და თაბაშირის მოხსნა და კირით შეცვლა; მხატვრობის გაწმენდა მარილებისგან — ხსნადი მარილების მოშორება; ბათქაშზე არსებული წვრილი ბზარების ინექტირება; მოხატულობის აქერცლილი — დაფხვიერებული ფერწერული ფენის გამაგრება.

ფრესკებზე საკონსერვაციო სამუშაოებს წინ უსწრებდა არქიტექტურის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები; კერძოდ, გამოიცვალა და შეკეთდა ეკვდერის გადახურვა, საიდანაც სათავსოში ჩაედინებოდა წვიმის წყალი, ცემენტის იატაკი შეიცვალა კირით, ჩაისვა სარკმლები.

გელათში მიმდინარე პროექტი არის ამერიკის შეეთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მეორე პროექტი, რომელსაც ცენტრი გელათის ღვთისშობლის ფრესკებზე ახორციელებს. 2004 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებით განხორციელდა გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსისა და ეკვდერების ფრესკების დიაგნოსტიკური კვლევა და პირველი რიგის საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს მემკვიდრეობა“ გერმანელ და ესპანელ სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავა და შექმნა გელათის სრული აღდგენა რესტავრაცია, კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ასევე არქიტექტურული კომპლექსის ინფრასტრუქტურულ მოწესრიგებას ითვალისწინებს.

2009 წლიდან დღემდე გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ძეგლებზე ეტაპობრივად განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაობი: აღდგა და პირვანდელი სახე დაიბრუნა გელათის აკადემიამ. მოხდა წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზისა და სამრეკლოს გადახურვა მოჭიქული კრამიტით, აღნიშნულ ძეგლებზე განხორციელდა ქვის კონსერვაცია და სრულად გაიწმინდა წმიდა გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობა. განახლდა წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის რეზიდენცია.

ქუთაისში ყოფნისას საქართველოს პარლამენტში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია საპარლამენტო უმცირესობის წევრებსაც შეხვდა და მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და მისი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს ბიძინა აფხაზავას, ნებართვების სამსახურის უფროსს ზაურ ახვლედიანს და გონიო აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ თანამშრომელს ემზარ კახიძეს შეხვდნენ.

გაცნობითი ხასითის შეხვედრაზე, ბიძინა აფხაზავამ კოლეგებს აჭარის, კერძოდ ბათუმის ისტორიულ ძეგლთა მდგომარეობა, ახალმშენებლობების საკითხები და სამომავლო გეგმები გააცნო. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური მიმდინარე წელს გონიო აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში საერთაშორისო არქეოლოგიურ კვლევით ექსპედიციას აამოქმედებს.

მხარეებმა სამომავლო გეგმებზე და თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრეს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ოფიციალური ვიზიტი აჭარაში რამდენიმე კვირაში გაიმართება. მერაბ ბოჭოძე ბათუმში და მის შემოგარენში ძეგლთა მდგომარეობას უშუალოდ გაეცნობა და შეაფასებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ბატონი ორთვინ ჰენიგი, გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებთან, სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის დამფუძნებლებთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორ მერაბ ბოჭოიძესთან და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორ ბესო მაცაბერიძესთან ერთად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახლადდანიშნულ გამგებელს ლევან ფალავანდიშვილს შეხვდნენ.

შეხვედრაზე გერამანიის ელჩმა ქართულ მხარეს გააცნო, სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახლადდაარსებული კავშირის მიზნები. ორგანიზაციას, თბილისში ექნება სათაო ოფისი და ქართულ მხარეს მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, ისეთი როგორიცა სამეცნიერო ღონისძიებები თუ კვლევითი პროექტების განხორციელება, ისტორიული ნაგებობების, ძველი ნივთებისა და ხელნაწერების რესტავრაცია; ასევე, სამხრეთ კავკასიაში გერმანულენოვანი მედიისა და ამ რეგიონთან დაკავშირებული პუბლიკაციების ხელშეწყობა.

ბოლნისში ჩასულმა დელეგაციამ მოინახულა გერმანული ინვესტიციით აშენებული სასტუმრო „გერმანული წისქვილი“.

საგულისხმოა, რომ პირველი გერმანელი ემიგრანტები ვიუტემბერგიდან თბილისში 1917 წლის 21 სექტემბერს ჩამოვიდნენ. მომდევნო წლებში სხვადასხვა დროს დააარსეს გერმანული დასახლებები — ალექსანდერდორფი, თბილისის კოლონია, მარიენფელდი, როზენბერგი, ელისაბეტფელდი, კატარინენფელდი და პეტერსდორფი. XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში 12.000 გერმანელი ცხოვრობდა და უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობით, ღვინის წარმოებით და ხელოსნობით იყო დაკავებული. ყველაზე დიდი გერმანული სოფელი საქართველოში იყო ბოლნისში.

ევროკავშირის მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველო-იტალიის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის თვინინგის პროექტისთვის, აცხადებს ორ ვაკანსიას მუდმივი მრჩევლის ასისტენტისა და თარჯიმანის სრული განაკვეთის პოზიციაზე. როგორც სააგენტოში განმარტავენ, სავალდებულოა ინგლისურისა და ქართული ენების კარგი ცოდნა. ყოველთვიური სარგო შეადგენს 1.200 ევროს. საკონტრაქტო პასუხისმგებელ პირს კი პროექტის ადმინისტრაციული ოფისი წარმოადგენს.

# მარინე მიზანდარი: კულტურა ფუფუნების საგანი არ არის!

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, კულტურის სამინისტროში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში, 2012 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, პროგრამის ფარგლებში 2012 წელს დაფინანსდა 15 რეგიონული პროექტი. აღსანიშნავია, რომ 15 შერჩეული პროექტიდან 12-ში საქართველო ჩართულია როგორც პარტნიორი ქვეყანა.

— მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა აღნიშნული პროექტების მოკლე მიმოხილვას, მიზნებისა და შედეგების შეფასებას და ზოგადად აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტროსთან სამომავლო თანამშრომლობისა და საქმიანობის დაგეგმვას, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.

აღნიშნული მრგვალი მაგიდა ასევე ემსახურება კულტურის სამინისტროს, სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის სფეროში არსებული სხვადასხვა ინსტიტუტების სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერებას და ხელშეწყობას.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განათლებისა და კულტურის მენეჯერი ოლივერ რაისნერი, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნები არიან საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ბელორუსი და უკრაინა.

— ნიშანდობლივია რომ ამ 15 რეგიონალურ პროექტში, რომელიც ევროკავშირის მხარადჭერით ხორციელდება, 12-ში აქტიურად არის ჩაბმული საქართველო და ყველაზე აქტიური ქვეყანაა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ექვსი ქვეყნიდან. ამ პროექტის მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასალებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# სტეფანია სამინისტროს მრჩეველთა საბჭოშია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სააქტო დარბაზში აღნიშნული უწყების მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ვეტერანმა კალათბურთელმა ვლადიმერ სტეფანიამ (რომელიც ქართველი კალათბურთელებიდან პირველი იყო, ვინც ნბა-ში ითამაშა) მასმედიისთვის პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტებთან შეხვედრის თემა ის პროექტები იყო, რომლის განხორციელებასაც ვლადიმერ სტეფანია უახლოეს მომავალში აპირებს.

სტეფანია, რომელიც პირველი ქართველი იყო, ვინც ნბა-ში ითამაშა კალათბურთის გუნდის ჩამოყალიბებას გეგმავს, რომელიც დროთა განმავლობაში გაძლიერდება და ევროთასებზე სისტემატურად და წარმატებით ითამაშებს.

გუნდის შექმნა და სხვა პროექტებიც, რომლის განხორციელებასაც სტეფანია გეგმავს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და საზოგადოება უახლოეს მომავალში უფრო მეტ სიახლეს გაიგებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა კი სტეფანიას სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერა აღუთქვა და მრჩეველთა საბჭოში გაწევრიანება შესთავაზა.

**ლევან ყიფიანი:**

– ვეტერანმა კალათბურთელმა ვლადიმერ სტეფანიამ თანამშრომლობა შემოგვთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდით. სტეფანიას ჩვენს გუნდში ყოფნა მნიშვნელოვანია. იგი თავის გამოცდილებას ქართულ სპორტს მოახმარს. ვოვა გაწევრიანდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოში, სადაც საქართველოს გამოჩენილი ადამიანები იმყოფებიან. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა ქართულ სპორტს მნიშვნელოვნად წაადგება. კალათბურთი სპორტის იმ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც საქართველოში პოპულარულია. ჯერჯერობით, ყველაზე დიდი წარმატება ჭიდაობაში გვაქვს მოპოვებული, რომელიც ინდივიდუალური სახეობაა. შედარებით მეტი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი გუნდურ სახეობებში, მათ შორის კალათბურთში. სტეფანია ძირითადად ამ მხრივ გაგვიზიარებს თავის გამოცდილებას.

**ვლადიმერ სტეფანია:**

– აქტიურ სპორტს თავი 7 წლის წინათ დავანებე. დავამთავრე ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტი. ამჟამად მაქვს სამედიცინო ბიზნესი. აღნიშნული ბიზნესის გარდა, კავკასიის რეგიონიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაწარმოებ საკვები პროდუქტების გატანას. ადრეც ვცადე გამოცდილება ქართული სპორტის ხელმძღვანელობისთვის გამეზიარებინა, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. მყავს ჩემი გუნდი, რომელსაც ბიზნესში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ქართული სპორტი განვითარებისთვის, უპირველესად, აუცილებელია ფუნდამენტი. ქართულ კალათბურთში მხოლოდ 5-6 სპორტსმენია, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული წარმატებები მოიპოვონ. არადა, თავისუფლად შეიძლება მინიმუმ 3 სანიკიძის, 3 მარკოიშვილის, 3 ფაჩულიას და იმდენი კალათბურთელის აღზრდა, რომლებისგან რამდენიმე ძლიერი გუნდი გაკეთდება. ქართული კალათბურთში ცვლილება აუცილებელია. სხვანაირად ქართული კალათბურთი ვერ განვითარდება. მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაგეგმილია საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები. იქ მონაწილეობას არ ვაპირებ, მაგრამ ერთ-ერთ კანდიდატს მხარს დავუჭერ.

# აურზაური ქართულ ფეხბურთში

საით მიდის ქართული ფეხბურთი? რა ეშველება? ეს კითხვები ბოლო დროს ძალიან მომრავლდა საზოგადოებაში. ვინ უნდა ჩადოს ფული და რატომ? ერთი ვარიანტია სახელმწიფო, თუმცა ჩვენი აზრით, საშინლად მანკიერი პრაქტიკაა. ჯერ ერთი ჩვენს ქვეყანას არ აქვს მაგის ფუფუნება, და მეორე: გამოიწვევს უსამართლობის განცდას, ყველას მოუნდება ფული.

სწორედ ასე მოხდა უახლოეს დღეებში, როდესაც სახელმწიფომ დახმარება გადაწყვიტა გორის „დილასთვის“, რამაც აღშფოთებაში მოიყვანა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია. მეტიც, მან კლუბის ზესტაფონის მუნიციპალიტეტზე გადაცემა გადაწყვიტა 100-პროცენტიანი წილით.

– მოგახსენებთ, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეწყვიტოს კლუბში ინვესტიციების განხორციელება. ვინაიდან საქართველოში საფეხბურთო კლუბების უმრავლესობა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხებით ფუნქციონირებს, კლუბის შესანარჩუნებლად გთხოვთ, შპს „საფეხბურთო კლუბი ზესტაფონი“ აღირიცხოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე და ეს უკანასკნელი გახდეს კომპანიის 100 პროცენტიანი წილის მესაკუთრე. გთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პასუხი უახლოეს დროში შეგვატყობინოთ.

თუ რა მოჰყვა ამ ქმედებას, ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი, როგორც დაგპირდით, კოკაის ამ ნაბიჯზე ვისაუბრებთ.

კოკაია მართალია იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადა, რომ არავითარი კლუბი სახელმწიფომ არ უნდა დააფინანსოს. ეს არის ყოფილი საბჭოური აზროვნება. სახელმწიფო საერთოდ არ უნდა ჩაერიოს ფეხბურთში და ეს იქნება ყველაზე მაგარი დახმარება.

როგორც გახსოვთ, შარშან „დილას“ აფინანსებდა შსს, თუმცა, გატარებული იყო დაცვის პოლიციის ბალანსზე. წარმოიდგინეთ: თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, „ზესტაფონის“, „ვიტ ჯორჯიას“ და კიდევ რამდენიმე კლუბის მეპატრონე იხდის გადასახადს, ამ დროს კი ვიღაცას მოსდის თავში იდეა, რომ მათი გადახდილი ფულით დააფინანსოს კონკურენტი გუნდი, რომელმაც, შესაძლოა, წაართვას ტიტული და აზარალოს ფინანსურად.

კიდევ ერთი საკითხი: დავუშვათ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კლუბი გავიდა მოგებაზე. მერე სად მიდის ეს ფული? ისევ სახელმწიფო ბიუჯეტში ბრუნდება?

სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი, კლუბების კერძო მფლობელობაში გადასვლის პროცესს, თორემ თუ ყველა უწყებამ სათითაოდ კლუბი აფინანსა, გამოდის ისევ საბჭოთა კავშირში ვბრუნდებით, სადაც ყველა უწყებას ქვეუწყობრივი გუნდები ჰყავდა. სხვათა შორის, მისი დაშლა სწორედ ამ ფორმამ გამოიწვია, როდესაც არამიზნობრივად იფლანგებოდა თანხები.

გადავხედოთ ბოლო ათწლეულს: რომელმა გუნდებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს, კერძო კლუბებმა, თუ მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებულებმა? ცხადია, კერძომ.

ამასთან, ცენტრალური ბიუჯეტიდან რატომ უნდა დაფინანსდეს კონკრეტულად ერთი ქალაქის გუნდი და არა ვთქვათ რამდენიმე. გარდა ამისა, თუ გორს და ზუგდიდს ფეხბურთი უნდა, რუსთავს უნდა თეატრი, მესტიას ტურიზმი, ბათუმს სტადიონი, ოზურგეთს ქარხანა...

სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა იზრუნოს კერძო საკუთრების დაცვაზე. თუ ბიზნესმენმა ეს დაინახა, უფრო დაინტერესდება კლუბების შეძენით. ვინც გადარჩება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ის ითამაშებს ფეხბურთს – ეს დაუწერელი კანონია.

ამით სახელმწიფოც მოგებული დარჩება და ბიზნესმენიც.

ახლა დავუბრუნდეთ „ზესტაფონის“ საკითხს: ქალაქს ეწვია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელ ნუგზარ ქამუშაძეს და იქაურ გულშემატკივარს შეხვდა. სხვათა შორის, ზესტაფონშივე იგეგმებოდა, სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანის ჩასვლაც, მაგრამ ის აზერბაიჯანში იმყოფებოდა და სავარაუდოდ, ზესტაფონელებს მოგვიანებით შეხვდება.



ამ შეხვედრას არ დასწრებია აგრეთვე ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ქავთარაძეც.

**ნუგზარ ქამუშაძე (ზესტაფონის გამგებელი):**

– ჩემთვის ბატონი ილიას წერილი ძალიან მოულოდნელი იყო. ბოლოს ერთად ვუყურეთ თამაშს და მკითხა, მუნიციპალიტეტს თუ შეუძლია, გუნდს დაეხმაროსო. გორს აგერ მილიონით დაეხმარნენო. მერე მოხდა ის, რაც მოხდა... მე ახლა მხოლოდ ერთს შემიძლია დაგპირდეთ – ზესტაფონში ფეხბურთი არ მოკვდება. ჯერ არ შევხვედრივარ ბატონ ილიას. შევხვდები და ვნახოთ, რისი შეთავაზება შეგვიძლია... აქ ყველა ზესტაფონელები ვართ და უნდა გითხრათ, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს გუნდის შენახვის საშუალება. ის კი არა, ბიუჯეტი გვივარდება. მაგრამ არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია და გამოსავალს აუცილებლად ვიპოვით.

**ზვიად სიჭინავა (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):**

– ძალიან აღელვებული ვარ აქ ნანახით. არ ვიცი, რატომ არ არის აქ სპორტის მინისტრი. გორში მე რომ ჩავედი, მერე ჩამოვიდა. ის მინისტრია და სადაც უნდა იქ მივა. ფედერაციაში შემოვიდა ილია კოკაიას წერილი. იმ წამსვე გადავწყვიტე თქვენთან წამოსვლა. ილიას არ შევხვედრივარ. ჯერ მინდოდა თქვენთვის მომესმინა. თავს ილია კოკაიას მეგობრად ვთვლი. მე ფეხბურთში ბიზნესიდან მოვედი და კარგად ვიცი, რომ დღეს ბიზნესმენისთვის წამგებიანია ქართული ფეხბურთი. „ბაიას“ 27 აღზრდილი თამაშობს სხვადასხვა ქართულ გუნდში და სატრანსფერო თანხა მხოლოდ „ზესტაფონმა“ გადაიხადა გურამ სამუშიაში. რისთვის ვიწვალე? ახლა გეტყვით, რაც არასდროს მითქვამს. კოკაიას პირადად მე სამჯერ გადავაფიქრებინე წასვლა. ვუთხარი, ხალხს მაგრად უყვარხარ, ნუ მიატოვებ მეთქი. დამიჯერა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ყველაფერი „დილასათვის“ თანხის გადარიცხვამ განაპირობა. მე არ მეშინია არაფრის. პირადად ვუთხარი სპორტის მინისტრს, ეს გამოიწვევს „დომინოს პრინციპს“. თუ ყველას არ დავეხმარეთ, უკმაყოფილება გაღვივდება-მეთქი. კოკაია ამის გამოა ასე. მესმის და ვამართლებ. სადაც ერთს, იქაც მეორეს. დაწერილი გვაქვს კანონპროექტი, რომელშიც ყველა გუნდის დაფინანსებაა გათვალისწინებული. ოღონდ სხვა გუნდები მათი მნიშვნელობის მიხედვით უნდა დაფინანსდნენ ცოტა უფრო ნაკლებად, ვიდრე „დინამო“, „ტორპედო“ და „ზესტაფონი.“ ახლა ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ მუნიციპალიტეტი იქნება თუ ცენტრალური ბიუჯეტი, შუქის, წყლის ფული გადაიხადოს, მივცეთ შეღავათები ინვესტორს... დღეს კოკაია წავა, ხვალ სხვა. ერთ თვეში ზუსტად იმავეს ვპროგნოზირებ ქუთაისის „ტორპედოში“. დარბიან ფხაკაძეები, შეღავათებს ითხოვენ, უსმენს მათ ვინმე? როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და როგორც ადამიანი, გპირდებით, რომ არ მიგატოვებთ. ილია კოკაია უნდა დავტოვოთ ფეხბურთში. თეთრი შურით მშურს მისი – არ არის იოლი ხალხის ამხელა სიყვარულის მოპოვება. ამ ბავშვებს, ცრემლიანი თვალებით რომ გვიყურებენ, ვპირდები, რომ ქუჩისთვის არ გავიმეტებ. აქვე ვხედავ მამაჩემის თაობის ხალხსაც და მათ ვპირდები, რომ არ მოგიკლავთ ერთადერთ სიხარულს. ვიცი, რომ აქ ფეხბურთი ყველაფერია. შევალ იქ, სადაც მიშვებენ და იქაც, სადაც არ მიშვებენ და ვეცდები, რომ შეუძლებელი შევძლო. ადამიანურად ვალში ვგრძნობ თავს თქვენთან. თქვენგან თბილისში მივდივარ და შევხვდები ილია კოკაიას, რათა შეგინარჩუნოთ ფეხბურთი. მე არ ვარ ციდან ჩამოფრენილი და ვიცი, „ზესტაფონი“ ყველაზე მეტად რომ დაიჩაგრა. მიგულეთ თქვენს გვერდით.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ფეხბურთი

**ინგლისი. თასი – ფინალი**

სიტი-უიგანი ... 0:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ჩელსი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 27 | 4 | 5 | 79:37 | 85 |
| 2.სიტი | 36 | 22 | 9 | 5 | 62:31 | 75 |
| 3.ჩელსი | 37 | 21 | 9 | 7 | 73:38 | 72 |
| 4.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 67:36 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 36 | 19 | 9 | 8 | 63:45 | 66 |
| 6.ევერტონი | 36 | 15 | 15 | 6 | 52:38 | 60 |
| 7.ლივერპული | 36 | 14 | 13 | 9 | 67:42 | 55 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 14 | 6 | 16 | 48:48 | 48 |
| 9.სუონსი | 36 | 11 | 13 | 12 | 46:46 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:49 | 43 |
| 11.სტოკი | 36 | 9 | 14 | 13 | 32:42 | 41 |
| 12.ფულემი | 36 | 10 | 10 | 16 | 46:57 | 40 |
| 13.ასტონ ვილა | 37 | 10 | 10 | 17 | 45:67 | 40 |
| 14.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 47:58 | 39 |
| 15.სანდერლენდი | 36 | 9 | 11 | 16 | 40:52 | 38 |
| 16.ნორვიჩი | 36 | 8 | 14 | 14 | 34:56 | 38 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 10 | 8 | 18 | 43:66 | 38 |
| 18.უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 44:67 | 35 |
| 19.რედინგი | 36 | 6 | 10 | 20 | 41:67 | 28 |
| 20.ქპრ | 36 | 4 | 13 | 19 | 29:57 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-მალიორკა ... 2:1
ვალიადოლიდი-დეპორტივო ... 1:0
ოსასუნა-ხეტაფე ... 1:0
ესპანიოლი-რეალი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 105-37 | 88 |
| 2.რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 35 | 22 | 6 | 7 | 61-28 | 72 |
| 4.სოსიედადი | 34 | 16 | 10 | 8 | 62-43 | 58 |
| 5.ვალენსია | 34 | 16 | 8 | 10 | 58-50 | 56 |
| 6.მალაგა | 35 | 15 | 8 | 12 | 49-45 | 53 |
| 7.ბეტისი | 34 | 14 | 7 | 13 | 51-54 | 49 |
| 8.ხეტაფე | 35 | 13 | 8 | 14 | 42-52 | 47 |
| 9.სევილია | 34 | 13 | 7 | 14 | 52-47 | 46 |
| 10.რაიო | 34 | 14 | 4 | 16 | 43-57 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 35 | 11 | 11 | 13 | 43-47 | 44 |
| 12.ვალიადოლიდი | 35 | 11 | 10 | 14 | 46-50 | 43 |
| 13.ლევანტე | 35 | 11 | 9 | 15 | 36-53 | 42 |
| 14.ბილბაო | 35 | 11 | 8 | 16 | 40-61 | 41 |
| 15.ოსასუნა | 35 | 9 | 9 | 17 | 29-42 | 36 |
| 16.გრანადა | 34 | 9 | 8 | 17 | 30-51 | 35 |
| 17.სარაგოსა | 35 | 9 | 7 | 19 | 35-53 | 34 |
| 18.დეპორტივო | 35 | 7 | 11 | 17 | 44-66 | 32 |
| 19.სელტა | 35 | 8 | 7 | 20 | 34-51 | 31 |
| 20.მალიორკა | 35 | 7 | 8 | 20 | 38-70 | 29 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-ხერესი ... 2:4
ლუგო-ალმერია ... 3:5
ნუმანსია-გვადალახარა ... 2:2
ხიხონი-კორდობა ... 3:0
მურსია-საბადელი ... 1:1
უესკა-ლას პალმასი ... 0:0
მირანდესი-პონფერადინა ... 0:0

**იტალია. სერია ა**

კატანია-პესკარა ... 1:0
იუვენტუსი-კალიარი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 27 | 6 | 4 | 69-21 | 87 |
| 2.ნაპოლი | 36 | 22 | 9 | 5 | 70-33 | 75 |
| 3.მილანი | 36 | 20 | 8 | 8 | 65-38 | 68 |
| 4.ფიორენტინა | 36 | 19 | 7 | 10 | 66-43 | 64 |
| 5.უდინეზე | 36 | 16 | 12 | 8 | 52-42 | 60 |
| 6.ლაციო | 36 | 17 | 7 | 12 | 49-41 | 58 |
| 7.რომა | 36 | 17 | 7 | 12 | 69-55 | 58 |
| 8.ინტერი | 36 | 16 | 5 | 15 | 53-52 | 53 |
| 9.კატანია | 37 | 15 | 10 | 12 | 48-44 | 55 |
| 10.პარმა | 36 | 12 | 10 | 14 | 42-43 | 46 |
| 11.კალიარი | 37 | 11 | 11 | 15 | 42-55 | 44 |
| 12.კიევო | 36 | 12 | 7 | 17 | 34-49 | 43 |
| 13.ბოლონია | 36 | 10 | 10 | 16 | 44-52 | 40 |
| 14.ატალანტა | 36 | 11 | 8 | 17 | 36-52 | 39 |
| 15.სამპდორია | 36 | 10 | 10 | 16 | 40-47 | 39 |
| 16.ტორინო | 36 | 8 | 14 | 14 | 43-52 | 37 |
| 17.ჯენოა | 36 | 8 | 12 | 16 | 38-52 | 36 |
| 18.პალერმო | 36 | 6 | 14 | 16 | 33-50 | 32 |
| 19.სიენა | 36 | 9 | 9 | 18 | 34-53 | 30 |
| 20.პესკარა | 37 | 6 | 4 | 27 | 26-79 | 22 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ტერნანა ... 1:1
ბარი-ჩეზენა ... 2:1
ლანჩანო-სასუოლო ... 2:2
მოდენა-ვიჩენცა ... 0:1
პადოვა-სპეცია ... 1:1
პრო ვერჩელი-ნოვარა ... 1:2
რეჯინა-გროსეტო ... 1:0
ემპოლი-ჩიტადელა ... 1:0
იუვე სტაბია-ვერონა ... 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აუგსბურგი ... 3:0
ლევერკუზენი-ჰანოვერი ... 3:1
ვერდერი-აინტრახტი ... 1:1
ვოლფსბურგი-დორტმუნდი ... 3:3
ფიურტი-ფრაიბურგი ... 1:2
მაინცი-გლადბახი ... 2:4
ფორტუნა-ნიურნბერგი ... 1:2
ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი ... 1:4
შალკე-შტუტგარტი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 28 | 4 | 1 | 94-15 | 88 |
| 2.დორტმუნდი | 33 | 19 | 9 | 5 | 80-40 | 66 |
| 3.ლევერკუზენი | 33 | 18 | 8 | 7 | 64-39 | 62 |
| 4.შალკე | 33 | 15 | 7 | 11 | 56-49 | 52 |
| 5.ფრაიბურგი | 33 | 14 | 9 | 10 | 44-38 | 51 |
| 6.აინტრახტი | 33 | 14 | 8 | 11 | 47-44 | 50 |
| 7.ჰამბურგი | 33 | 14 | 6 | 13 | 42-52 | 48 |
| 8.გლადბახი | 33 | 12 | 11 | 10 | 42-45 | 47 |
| 9.ჰანოვერი | 33 | 12 | 6 | 15 | 57-62 | 42 |
| 10.ვოლფსბურგი | 33 | 10 | 12 | 11 | 45-50 | 42 |
| 11.შტუტგარტი | 33 | 12 | 6 | 15 | 35-53 | 42 |
| 12.მაინცი | 33 | 10 | 11 | 12 | 40-42 | 41 |
| 13.ნიურნბერგი | 33 | 10 | 11 | 12 | 36-45 | 41 |
| 14.ვერდერი | 33 | 8 | 10 | 15 | 48-63 | 34 |
| 15.დიუსელდორფი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-54 | 30 |
| 16.აუგსბურგი | 33 | 7 | 9 | 17 | 30-50 | 30 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 33 | 7 | 7 | 19 | 40-66 | 28 |
| 18.ფიურტი | 33 | 4 | 9 | 20 | 25-57 | 21 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ტულუზა ... 2:1
აიაჩო-ტრუა ... 0:1
ბასტია-მონპელიე ... 3:1
ბორდო-ნანსი ... 3:2
ბრესტი-სოშო ... 0:2
ვალანსიენი-რენი ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 22 | 8 | 5 | 62-21 | 74 |
| 2.მარსელი | 36 | 21 | 7 | 8 | 42-34 | 70 |
| 3.ლიონი | 35 | 18 | 9 | 8 | 58-36 | 63 |
| 4.ლილი | 36 | 16 | 12 | 8 | 58-39 | 60 |
| 5.ნიცა | 35 | 17 | 9 | 9 | 54-41 | 60 |
| 6.სტ. ეტიენი | 35 | 15 | 14 | 6 | 56-28 | 59 |
| 7.ბორდო | 36 | 12 | 16 | 8 | 38-32 | 52 |
| 8.მონპელიე | 36 | 15 | 6 | 15 | 54-49 | 51 |
| 9.ლორიანი | 35 | 13 | 11 | 11 | 53-53 | 50 |
| 10.ტულუზა | 36 | 11 | 12 | 13 | 45-46 | 45 |
| 11.ვალანსიენი | 36 | 11 | 12 | 13 | 47-50 | 45 |
| 12.რენი | 36 | 13 | 6 | 17 | 47-56 | 45 |
| 13.ბასტია | 36 | 12 | 7 | 17 | 48-65 | 43 |
| 14.სოშო | 36 | 10 | 10 | 16 | 40-55 | 40 |
| 15.აიაჩო | 36 | 9 | 14 | 13 | 38-48 | 39 |
| 16.რეიმსი | 36 | 9 | 12 | 15 | 32-42 | 39 |
| 17.ნანსი | 36 | 8 | 11 | 17 | 35-55 | 35 |
| 18.ევიანი | 35 | 8 | 10 | 17 | 39-51 | 34 |
| 19.ტრუა | 36 | 7 | 13 | 16 | 41-59 | 34 |
| 20.ბრესტი | 36 | 8 | 5 | 23 | 30-57 | 29 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნიმი-მონაკო ... 0:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ფერეირა ... 1:1
მარიტიმუ-გიმარაეში ... 1:0
მორეირენსე-სეტუბალი ... 2:1
რიუ ავე-ჟილ ვისენტე ... 2:1
ბრაგა-ნასიონალი ... 1:3
სპორტინგი-ოლჰანენსე ... 1:0
ეშტორილი-ბეირა მარი ... 2:1
პორტუ-ბენფიკა ... 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-კრასნოდარი ... 1:1
ვოლგა-ალანია ... 1:0
ყუბანი-ამკარი ... 4:0
ლოკომოტივი-ცსკა ... 1:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-სტ.ჯონსონი ... 4:0
ინვერნესი-დ.იუნაიტედი ... 1:2
სტ.მირენი-აბერდინი ... 0:0
დანდი-კილმანროკი ... 2:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-იანგ ბოიზი ... 3:1
სტ.გალენი-სიონი ... 5:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-შტურმი ... 3:0
ინსბრუკი-აუსტრია ... 0:3
რაპიდი-ვოლფსბურგერი ... 0:0
რიდი-მატერსბურგი ... 1:1

**ბელგია. პროლიგა**

ლოკერენი-ვარეგემი ... 2:3
ლეუვენი-გენტი ... 1:4

**საბერძნეთი. თასი – ფინალი**

ოლიმპიაკოსი-ასტერასი ... 3:1(დდ)

## შედეგები

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ორდუ ... 1:0
ბეშიქთაში-გენჩლერი ... 3:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-სიგმა ... 0:2
პლზენი-სპარტა ... 0:1
სლოვაცკო-ლიბერეცი ... 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-ბელხატუვი ... 0:1
ვისლა-კორონა ... 3:0
იაგელონია-ლეგია ... 0:3

**ლეგიას მე-3 გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-მეტალურგი(დ) ... 0:1
ვოლინი-არსენალი ... 1:3
შახტარი-ტავრია ... 5:0
დინამო-ილიჩევეცი ... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-სოდერიისკე ... 2:1

**აშშ. მლს**

მონრეალი-სოლტ ლეიკი ... 3:2
სიეტლი-სან ხოსე ... 4:0
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი ... 3:1
ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი ... 1:1
დალასი-დ.დ.იუნაიტედი ... 2:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სან ლორენცო-ბოკა ... 3:0
ოლდ ბოიზი-გოდოი ... 3:1
ველეჟი-სარანდი ... 2:2
რასინგი-ტიგრე ... 2:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფები**

მემფისი-ოკლაჰომა ... 87:81
**სერიის ანგარიში: 2:1**
ინდიანა-ნიუ იორკი ... 82:71
**სერიის ანგარიში: 2:1**

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი ოფი**

აილენდერსი-პიტსბურგი ... 3:4(ოტ)
**სერიის ანგარიში: 2:4**

# რა შანსები აქვთ ნოდიკო ტატიშვილსა და სოფო გელოვანს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სული წლის მასპინძელი ქალაქის მერი „ევროვიზიის გასაღებს“ მომდევნო წლის მასპინძელი ქალაქის მერს სადღესასწაულო ვითარებაში გადასცემს. გასაღები ამ ქალაქში წლის განმავლობაში დარჩება, შემდეგ კი მომდევნო გამარჯვებულ ქვეყანას გადაეცემა.

ევროპის მაუწყებელთა კავშირისა და მასპინძელი მაუწყებლის ინიციატივით ტარდება დელეგაციების ხელმძღვენელების შეხვედრა, სადაც კონკურსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება. როგორც წესი, საქმე ეხება კონკურსის ჩატარების წესებსა და პირობებს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დეტალების გაცნობას, მონაწილეებსა და საკონკურსო სიმღერებს, რეპეტიციებს, სცენის დიზაინს, კონკურსის შემოქმედებით მხარეს, მასმედიის წარმომადგენლების დასწრებას, ფანკლუბებსა და სხვა საკითხებს.

ევროფესტივალი წვეულებით – ევროკვირეულის გახსნით იწყება, შემდეგ წვეულებებს მართავენ მონაწილე ქვეყნების დელეგაციებიც. ნახევარფინალებსა და ფინალს წინ უძღვის პრესკონფერენციები, რეპეტიციები და კოსტიუმირებული რეპეტიცია.

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა და 2013 წლის ევროფესტივალის მასპინძელმა მაუწყებელმა 58-ე კონკურსის ევროკვირეულის და რეპეტიციების განრიგი უკვე გაახმოვანა. ევროკვირეული ევროკლუბის გახსნით დაიწყო, თავდაპირველად რეპეტიციები ნახევარფინალებისთვის დახურულ კარს მიღმა ჩატარდა. ჟურნალისტებსა და ევროვიზიის გულშემატკივარს რეპეტიციებისთვის თვალის დევნება ევროკლუბში დამონტაჟებული მონიტორების საშუალებით შეეძლოთ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტებმა ევროკლუბში გადაინაცვლეს, სადაც მასმედიის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხეს, გაიმართა ფოტოსესიაც. პრესცენტრი მალმეს არენის მახლობლად გაიხსნა. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა და მასპინძელმა მაუწყებელმა პრესკონფერენცია გამართა. 10-დან 12 მაისამდე რეპეტიციების მეორე ტური მოეწყო და მედიის წარმომადგენლებს დასწრების შესაძლებლობა მიეცათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტებმა 20-წუთიანი პრესკონფერენცია გამართეს, შედგა ინტერვიუები და ფოტოსესიები.

12 და 15 მაისს რეპეტიციებს გაივლიან „ევროვიზიის დიდი ხუთეულის ქვეყნები“ – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი (მასპინძელი). 13-დან 18 მაისამდე გაიმართება კოსტიუმირებული რეპეტიციები, ნახევარფინალები და ფინალი.

ევროვიზიის კონკურსი მოიცავს ორ ნახევარფინალსა და გრანდიოზულ ფინალს. თუ რომელ ნახევარფინალურ საღამოზე იმღერებენ ევროვიზიის კონკურსანტი ქვეყნები, კენჭისყრის შედეგად ირკვევა. წელს ევროვიზიის კონკურსების მმართველმა ორგანომ, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა კონკურსის პირობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. ცვლილების თანახმად, კენჭისყრის შედეგად გაირკვა, თუ რომელ ნახევარფინალურ საღამოზე მიიღებს მონაწილეობას ესა თუ ის ქვეყანა, მაგრამ სცენაზე გამოსვლის რიგითობა შოუს პროდიუსერებმა განსაზღვრეს. 2013 წლამდე ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობა მარტში, დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრისას, კენჭისყრის შედეგად ირკვეოდა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად გადადიან მასპინძელი ქვეყნის – შვედეთისა და „დიდი ხუთეულის“ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის წარმომადგენლები. დანარჩენი ფინალისტების ვინაობა ნახევარფინალების შედეგად გამოვლინდება. ევროფესტივალზე გამარჯვებულს მაყურებელი და ჟიური გამოავლენენ. თითოეული ნაციონალური ჟიური 6 პროფესიონალი მუსიკოსი წევრისგან შედგება. მაყურებელს უფლება არ აქვს ხმა თავისი ქვეყნის წარმომადგენელს მისცეს. ფინალის დასრულების შემდეგ, მონაწილე ქვეყნების სპიკერები პირდაპირ ეთერში აცხადებენ, თავისი ქვეყნის ხმის მიცემის შედეგებს, უმაღლესი შეფასებაა 12 ქულა. ევროვიზიის ფინალისტის გამოსავლენად მაყურებელი და ჟიური თანაბარი უფლებით (პროპორციულად, პრინციპით 50/ 50%-ზე) სარგებლობენ. ტრადიციად იქცა, რომ ანტრაქტების დროს სცენაზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მიწვეული ევროვიზიის წინა წლების მონაწილეები, გამარჯვებულები, ან სხვა ვარსკვლავები გამოდიან.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ევროპული სატელევიზიო კონკურსია, რომელიც პირდაპირ ეთერში ევროვიზიის სატელიტური ქსელის მეშვეობით გადაიცემა. გრანდიოზულ სანახაობას ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, 100 მილიონზე მეტი მაყურებელი ადევნებს თვალს. კონკურსის შექმნის იდეა 1955 წელს ევროპის სამაუწყებლო კავშირის მონაკოს შეხვედრაზე გაჩნდა, იტალიის სან-რემოს მუსიკის ფესტივალი კი კონკურსის მოდელად იქცა. იდეის ავტორი ფრანგი მარსელ ბაისონი კონკურსის მიზნად გახლეჩილი ევროპის ცივი ომის აგონიიდან გამოყვანას, ევროპის გაერთიანების ხელშეწყობას, ასევე, სატელევიზიო მაუწყებლობების არსებული ტექნოლოგიების გამოცდას ასახელებს.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირველად 1956 წლის 24 მაისს შვეიცარიაში, ქალაქ ლუგანოში ჩატარდა და მასში მხოლოდ 7-მა ქვეყანამ შვეიცარიამ, ნიდერლანდებმა, ბელგიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა და იტალიამ მიიღო მონაწილეობა. დროთა განმავლობაში კონკურსს სხვა ქვეყნებიც ემატებოდა, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კი მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. XX საუკუნის დასასრულს კონკურსში მონაწილე ქვეყნების რიცხვმა 40-ს გადააჭარბა.

1956 წელს კონკურსის გამარჯვებული გახდა შვეიცარიის წარმომადგენელი ლიზ ასია. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მონაწილეები იყვნენ ისეთი ცნობილი შემსრულებლები, როგორებიც არიან ჯგუფი აბბა, სელინ დიონი, ტოტო კუტუნიო და სხვა ცნობილი მომღერლები. თავდაპირველად ევროვიზიის ორგანიზატორების მიერ დადგენილი წესის მიხედვით, კონკურსში მონაწილეებს მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა შეესრულებინათ სიმღერა, მაგრამ ბოლო ხანებში ეს მოთხოვნა გამარტივდა და მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ.

2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მასპინძელი შვედეთის მაუწყებელია. რიგით 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალებსა და ფინალს შვედეთის ქალაქი მალმე 14 , 16 და 18 მაისს უმასპინძლებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსში კი წელს 39 ქვეყანა მონაწილეობს. 2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსისთვის მზადება დაწყებულია. ევროპა გრანდიოზული სანახაობის მოლოდინშია.

# მარინე მიზანდარი: კულტურა ფუფუნების საგანი არ არის!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ეს პროგრამა კულტურას არ განიხილავს ცალკე, იზოლირებულად, არ განიხილავს როგორც ფუფუნების საგანს, ან მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის საჭირო და ხელმისაწვდომ სფეროს, არამედ მთელი მცდელობა იქით არის მიმართული, რომ კულტურა განიხილებოდეს ეკონომიკური რეგიონული განვითარების ჭრილში თითოეული ამ მონაწილე ქვეყნისა, – აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა.



საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განათლებისა და კულტურის მენეჯერის ოლივერ რაისნერის განცხადებით, მსგავსი შეხვედრები დაეხმარება პროექტში მონაწილე ქვეყნებს უკეთ განსაზღვრონ რა პერსპექტივები აქვთ და რისი გაკეთებაა შესაძლებელი.

– ეს არის პირველი შეხვედრა კულტურის სამინისტროს მოწვევით, რომ შევაჯამოთ რა გაკეთდა, კიდევ რა არის გაკეთებული, რისი გაკეთება შეიძლება სამომავლოდ, რანაირად შეიძლება დავხვეწოთ მუშაობა, მოვახდინოთ კოორდინირება, რომ უფრო მეტი შედეგი იყოს კულტურის სფეროს განვითარებაში.

კომპანია „ჯეოეარის“ წარმომადგენლის ნინი ფალავანდიშვილის თქმით, საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში და განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

– სივრცეების ათვისება ითვალისწინებს მათ დათმობას საზოგადოებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ამ პროექტებში ჩართული იყოს ახალგაზრდობა და ამაღლდეს მათი ცნობიერება საჯარო სივრცეებსა და მათ გამოყენებაზე. შარშან აქცია ჩავატარეთ მიწისქვეშა გადასასვლელებთან დაკავშირებით საქართველოში, წელს კი ჩავატარეთ ღონისძიებები ბეთლემის კლდისუბანში.

პ.ს. 2013 წელს ბეთლემის უბნის ფესტივალის ფარგლებში იკომოს საქართველოს და ჯეოეარის ორგანიზებით მოეწყო ეკო-კულტურული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მოსახლეობამ, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა, მოხალისეებმა. ღონისძიების ფარგლებში მოხდა აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მათი გამოყენება ხელნაკეთი ნივთების შესაქმნელად. მონაწილეებისთვის გაიმართა სამხატვრო აკადემიის სტუდენტების პლენერი და მოეწყო კულტურულ საგანმანათლებლო ტური ბეთლემის კლდისუბანში.

# კროსვორდი



1. ქალაქი რაჭაში; 2. ... მატიე; 3. ... ნიკიტინი (მოგზაური); 4. ჩანაფიქრი; 5. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 6. ალგორითმული ენა; 7. შუქფარი; 8. პარკოსანი მცენარე; 9. დაცლილი ვაზნა; 10. საპალტოე ქსოვილი; 11. ძაღლის ჯიში; 12. ლათინური ანბანის ასო; 13. მეორე ნოტი; 14. ...-მუსიკა; 15. აღმოსავლური ორთაბრძოლა; 16. შაქრის სუროგატი; 17. რისამე ჩასაწერი დავთარი; 18. ტაბლეტი; 19. რამის აღმნიშვნელი წინსართი; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. „... დაიდარდო!“; 22. წიწვოვანი ხე; 23. ინდოელი კინორეჟისორი; 24. შლამის თევზი; 25. სესხი; 26. ესპანელი აზნაური; 27. პატარა მზვერავი გემი; 28. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 29. ტურგენევის მოთხრობა; 30. მცირე არია; 31. სამოსელზე დაკერებული დაწნული ზონარი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სიტე; 2. ოდა; 3. კატალოგი; 4. პო; 5. ბირთვისი; 6. ჯაკო; 7. შახტარი; 10. ბელი; 11. ჩოჩიშვილი; 12. ბალატონი; 13. პული; 16. გრივნა; 18. ღვეზელი; 19. სკივრი; 21. გუერა; 24. რუმბა.

**თარაზულად:** 1. სოპრანო; 3. კანაპე; 8. მითანა; 9. ტაბუ; 14. ფლორა; 15. ყულევი; 17. ლელო; 20. გუშაგი; 22. სევრი; 23. კატარი; 25. ჩაი; 26. ვატი; 27. აზია; 28. მაკლარენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად;** 1. ტიგელი; 2. ლოკალი; 3. რისვი; 5. ბობი; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ბაობაბი; 19. გოია.

**თარაზულად;** 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. გერნიკა; 9. ვოლიერი; 10. ოპელი; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ვარიანი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 23. მირზაანი.

სპორტი

# ოლიმპი ფინალშია და მეტოქეს ელის

**ქუთაისი – შსს აკადემია 73:89**

მასპინძელთა გუნდი აღნიშნულ მატჩს დიდი ტკივილით შეხვდა – დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, გარდაიცვალა „ქუთაისის“ ერთ-ერთი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი და სახელოვანი კალათბურთელი გელა დარსაძე.

მატჩის შემდეგ თამაშის შესახებ კომენტარი ვერც ერთი გუნდის წევრმა ვერ გააკეთა. როგორც „ქუთაისის“, ისე „შსს-აკადემიას“ ხელმძღვანელებმა უდიდესი მწუხარება გამოთქვეს დარსაძის გარდაცვალების გამო.

მატჩს რაც შეეხება, ის აკადემიელთა აქტიურობით დაიწყო და გიორგის კეცელიდისის გუნდმა უპირატესობა მალევე მოიპოვა. პირველი მეოთხედის აკადემიელებმა 6 ქულით მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 16 ქულამდე გაზარდეს – 48:32.

მესამე პერიოდში მასპინძლებმა თამაში ოდნავ გამოაკეთეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ მცირე იმედი ჩაესახათ. ქუთაისელებმა ათწუთეული 23:19 მოიგეს და ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, მასპინძლებმა თამაშის შემოტრიალება ვეღარ მოახერხეს. საბოლოოდ აკადემიელებმა დამაჯერებლად – 89:73 იმარჯვეს და სერიაში 2:1 დაწინაურდნენ.

გამარჯვებულთაგან ოთხივე ლეგიონერი გამოირჩა – დეონტა ვონმა 20 ქულა მოაგროვა, ბენჯამინ რეიმონდმა – 16, კირკ არჩიბექმა – 13 და ჩად პრევიტმა – 12. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი – 19 ქულა ჰქონდა გიორგი ბარბაქაძეს, ხოლო ზაურ ფაშაევმა, რომელმაც 2 დღის წინ წელი დაიზიანა და საავადმყოფოში აღმოჩნდა, გამოჯანმრთელება მოასწრო და ქუთაისელებს 12 ქულით შეეშველა.

**არმია – ოლიმპი 71:76**

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა „ოლიმპმა“ ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩშიც დაამარცხა „არმია“ და წინა სეზონის მსგავსად, საჩემპიონო სერიაში გავიდა.

მატჩსი დაწყებამდე დარბაზში მყოფებმა პატივი მიაგეს დღეს გარდაცვლილ გელა დარსაძის ხსოვნას. წუთიერი დუმილის შემდეგ შეხვედრა დაიწყო. წინა მატჩებისგან ეს მატჩი იმით განსხვავდებოდა, რომ არმიელებმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ცოტაც რომ მოენდომებინათ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. თამაში თანაბარი იყო: პირველი მეოთხედი „არმიამ“ 19:18 მოიგო, მეორეში არმიელებმა 22:19 იმარჯვეს, გადამწყვეტი პერიოდის დაწყებამდე წინ კი, უკვე ოლიმპელები იყვნენ – 57:56.

ცხადი იყო, რომ ყველაფერი ბოლო წუთებში გადაწყდებოდა და ასეც მოხდა. თანაბარ თამაშში კვანძი თითქოს არმიელთა სასარგებლოდ გაიხსნა, რომლებმაც თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე 7 ქულით გავიდნენ წინ – 66:59. სწორედ აქედან დაიწყო ოლიმპელთა შტურმი, რომლებმაც 4-წუთიანი მონაკვეთი 14:0 მოიგეს და თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 74:68 დაწინაურდნენ.

ხსენებულ მონაკვეთში თავი ლევან ფაცაციამ, აკაკი დვალიშვილმა და მიხეილ ბერიშვილმა გამოიჩინეს. რაც შეეხება ოლიმპელთა ამერიკელ ლეგიონერ დარენ მორს, მან კაზანჯიანის გუნდში საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 19 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი და არც ერთი დაკარგვა. ფაცაციამ და დვალიშვილმა შეხვედრა 16-16 ქულით დაასრულეს. რაც შეეხებათ არმიელებს, კოტე ტუღუშის გუნდში 19 ქულით საუკეთესო ბესო ლეჟავა გახლდათ, ხოლო ლაშა ფარღალავამ და გიორგი ჯგერენაიამ შეხვედრა 11-11 ქულით დაასრულეს. ამ უკანასკნელმა 11 მოხსნაც მიითვალა და თავის გუნდში ერთადერთი ორმაგი დუბლი გაიფორმა.

საბოლოოდ არმიელებმა 76:71 მოიგეს და სერიაში მშრალი ანგარიშით – 3:0 იმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ მატჩს დაესწრო საქართველოს ნაკრების კაპიტანი, „ატლანტა ჰოუქსის“ ერთ-ერთი ლიდერი ზაზა ფაჩულია, რომელმაც ფეხის ოპერაციის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა.

**მატჩის შემდეგ**

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– პირველ რიგში, მინდა ჩვენი კლუბის სახელით მწუხარება გამოვთქვა გელა დარსაძის გარდაცვალების გამო. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და სამწუხარო ამბავია. რაც შეეხება თამაშს, ბოლო წუთებამდე დაძაბული ბრძოლა იყო, თუმცა ჩვენ გადამწყვეტ მომენტში გამარჯვების მოპოვება ჩვენმა გუნდმა შეძლო.

**კოტე ტუღუში (არმია):**

– ჩვენი კლუბის სახელითაც გამოვთქვამთ მწუხარებას. დღევანდელ მატჩზე კი ვიტყვი, რომ ძალიან საწყენია, რომ გამოვეთიშეთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ყოველთვის რთულია ტიტულის შენარჩუნება და დღეს განსაკუთრებით გაგვიჭირდა. მიუხედავად მარცხისა, მე ამაყი ვარ, რომ „არმიის“ მწვრთნელი ვარ და ვამაყობ ჩემი თითოეული მოთამაშით. არ დავუკარგავ „ოლიმპს“ მაღალი კლასის თამაშს და მივულოცავ ფინალში გასვლას. ჩვენ კი დაველოდებით მეტოქეს მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში.

**აკაკი დვალიშვილი (ოლიმპი):**

– მადლობა მეტოქეს საინტერესო თამაშისთვის. დაძაბული თამაში იყო, თუმცა მოვინდომეთ და ფინალში გავედით. ვულოცავ ჩემს გუნდს წარმატებას.

**ანატოლი ბოისა (არმია):**

– პირველ რიგში, ვულოცავ „ოლიმპს“ ფინალში გასვლას. დასანანია, რომ დავმარცხდით. ვფიქრობ, ჩვენს გუნდს შესწევდა იმის ძალა, რომ მოგვეგო. მე-3 ადგილის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ.

მ. ჟ.

# გურამ ოდიშარია: „ასეთი დავით კაკაბაძე ჯერ არ გინახავთ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კითხებზე, აქვეყნებდა თეორიულ ნაშრომებს. მხატვრის ამ პერიოდის შემოქმედებაში აისახა ორი მიმართულება: მხატვარი ქმნიდა რეალისტურ, საგნობრივი სამყაროს მიერ შთაგონებულ სურათებს და უსაგნო სურათებს და კოლაჟებს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კოტე მარჯანიშვილის მიწვევით დავით კაკაბაძემ მუშაობა დაიწყო თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში. გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი და კინოფილმები. ამავე პერიოდში ის აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი. კვლავ დაუბრუნდა იმერული პეიზაჟის თემას, შექმნა ინდუსტრიული პეიზაჟები.

– დავით კაკაბაძე ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მისი სურათები დიდი კომპოზიციური ოსტატობისა და გადმოცემის სისხარტის გარდა გამოირჩევა განსაკუთრებული ფერადოვანი სიფაქიზითა და დახვეწილობით. რაციონალურობასთან ერთად მათ ახასიათებს მაღალი პოეტურობა. მან პირველმა შექმნა ქართული ბუნების განზოგადებული სახე, პეიზაჟი-სურათი. დიდი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა ადრინდელი პერიოდში შექმნილი პორტრეტები. დავით კაკაბაძე არის ქართული თეატრალური-დეკორაციული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების მქონე მოაზროვნე მხატვარი, რომელიც ყოველთვის ღრმად გააზრებულად, ლაკონიური საშუალებებით ასხამდა ხორცს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს, – მიაჩნიათ ხელოვნებათმცოდნეებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დაგეგმილი გამოფენა მოიცავს დავით კაკაბაძის თითქმის მთელ შემოქმედებას. გალერეაში წარმოდგენილი იქნება ნამუშევრები მხატვრის ოჯახის კოლექციიდან, ეროვნული მუზეუმის ფონდიდან, კერძო კოლექციებიდან და საერთაშორისო მუზეუმიდან, რაც ქართველი დამთვალიერებლებისთვის დღემდე უცნობია.

ექსპოზიციაზე დავით კაკაბაძე წარმოდგენილი იქნება არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც თანამედროვე მოაზროვნე, პირველი ფოტოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერი და სტერეოკინოს ერთ-ერთი პირველი გამომგონებელი. როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, გამოფენაზე მიწვეულნი იქნებიან სტუმრები ბელგიიდან, პორტუგალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

**გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:**

– ერთ კვირაში გაიხსნება დავით კაკაბაძის გრანდიოზული გამოფენა, რომელიც 100-ზე მეტ ნამუშევარს გააერთიანებს. დავით კაკაბაძე გვინდა ახალმა თაობამ გაიცნოს, რადგან ის იყო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი. ამიტომაც მისი გამოფენა მასშტაბური იქნება. როდესაც ვამბობთ, რომ გამოფენა იქნება მასშტაბური, ამაში ის იგულისხმება, რომ ექსპოზიციაზე კერძო კოლექციებიდან იქნება წარმოდგენილი მისი უამრავი ნამუშევარი, ასევე საზღვარგარეთიდან ჩამოიტანენ ნახატებს. ის იყო გამომგონებელიც, ექსპერიმენტატორიც, რაც ხელს უწყობდა მას შემოქმედებითად განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წერილები. არ დამავიწყდება წერილი ძმას, სადაც მან ჩამოაყალიბა ვინ არის მხატვარი და რა არის მისი მისია, დაეხმაროს ადამიანს, მხარში ამოუდგეს, გაუმრავალფეროვნოს ცხოვრება და ამით უფრო გაამდიდროს მისი სულიერი სამყარო. ამის მოწმეები გავხდებით რამდენიმე დღეში, როცა დავით კაკაბაძის ნამუშევრები გამოიფინება. შეიძლება ითქვას, რომ ასე გარნდიოზულად დავით კაკაბაძე ჯერ არ გვინახავს. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ მსოფლიოში ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები წაიკითხავენ ლექციებს და ექნებათ საუბარი ყველა მსურველთან. მსგავსი გამოფენა დავით კაკაბაძის ნამუშევრებისა არასოდეს მოწყობილა. კულტურის სამინისტროს არ შეეძლო ამ ექსპოზიციისთვის მხარი არ დაეჭირა, რადგან ის თავისი მნიშვნელობით, მართლაც რომ განუმეორებელია.

**ირინე არსენიშვილი, ეროვნული მუზეუმის კურატორი:**

– დავით კაკაბაძე არის ერთ-ერთი გამორჩეული და ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვარი XX საუკუნის ქართულ სახვით ხელოვნებაში. ის იყო დიდი თეორეტიკოსი და ანალიტიკოსი. შეიძლება ითქვას, რომ ის ქართული მხატვრობის კლასიკოსია. მისი ნახატები, იქნება ეს აბსტრაქცია თუ კოლაჟი, დიდი ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელია. ასე მასშტაბურად მისი ნამუშევრები დიდი ხანია არ გამოფენილა. ეს ყველასთვის დიდი ბედნიერებაა, როგორც ქართველებისთვის, ასევე უცხოელებისთვის.

**მარიამ კაკაბაძე, დავით კაკაბაძის ფონდის ხელმძღვანელი:**

– ეს გამოფენა არის სრული, რადგან დიდი ხანია ასეთი სრული ექსპოზიცია დავით კაკაბაძის შემოქმედებისა არ ყოფილა, ყველანაირაი ნამუშევრები იქნება გამოფენილი. ეს გამოფენა იქნება დავით კაკაბაძის შემოქმედების პირველი რეტროსპექტიული გამოფენა, ამიტომ იგი ძალიან მნიშვნელოვანია. გამოფენა 18 მაისს 18 საათზე გაიხსნება დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში და გაგრძელდება 10 ივლისამდე.



## ირანელმა მესაზღვრეებმა ავღანელ იმიგრანტებს ცეცხლი გაუხსნეს

ირანის მესაზღვრეებმა არალეგალი ავღანელი მიგრანტების ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ათი ადამიანი დაიღუპა, – განუცხადა ჟურნალისტებს ავღანეთის შსს-ს წარმომადგენელმა სედიკ სედიკიმ.

მისი თქმით, ირანის საზღვრის გადაკვეთას დაახლოებით 200 კაცი ცდილობდა. მათგან ათი მოკლეს, კიდევ 12 მიგრანტი დაიჭრა.

როგორც „ინტერფაქსი“ აღნიშნავს, ირანული მხარე საზღვარზე მკვლელობის ინფორმაციაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

## ირანის პრეზიდენტობა 686 ადამიანს სურს

ირანში პრეზიდენტობის კანდიდატების წინასწარი რეგისტრაცია დასრულდა. წინასაარჩევნო რბოლაში




მონაწილეობის სურვილი 686-მა ადამიანმა გამოთქვა; მათგან ყველაზე ახალგაზრდა 19 წლისაა, ხოლო ყველაზე უხუცესი 87 წლის. ასევე ცნობილი გახდა, რომ ისტორიაში პირველად პრეზიდენტობისთვის კენჭს ქალი იყრის, – იუწყება ადგილობრივი მედია. ამით გადალახული იქნა გასული არჩევნების რეკორდი, როცა რეგისტრაცია 475-მა კანდიდატმა გაიარა.

ამავე დროს მოელიან, რომ კენჭისყრისთვის, რომელიც 14 ივნისს გაიმართება, მონაწილეების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, აღნიშნავს „როსბალტი“. ათი დღის განმავლობაში კანდიდატურებს დამკვირვებელთა საბჭო განიხილავს – კონსტიტუციის დაცვის სპეციალური ორგანო, რომელიც ძირითადი კანონის ნორმებთან კანდიდატების შესაბამისობას განსაზღვრავს. შსს მოწონებული კანდიდატების სახელებს 22-23 მაისს გამოაცხადებს.

ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს, მაჰმუდ აჰმადინეჯადს პრეზიდენტობაზე კენჭისყრა აღარ შეუძლია, რადგან ამ პოსტზე უკვე ორი ვადით იმყოფებოდა.

კანდიდატებს შორისაა ისლამური რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი, ალიაქბარ რაფსანჯანი. 79 წლის რაფსანჯანიმ საკუთარი კანდიდატურა ირანის პრეზიდენტის პოსტზე 2005 წელს წამოაყენა და მოქმედ პრეზიდენტთან, აჰმადინეჯადთან დამარცხდა. ამჟამად ის ერთ-ერთ ფავორიტ კანდიდატად განიხილება.

ამას გარდა, თავისი კანდიდატურა წამოაყენა ირანის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ესფანდიარ რაჰიმ მაშიმ, რომელსაც მხარს უჭერს მოქმედი პრეზიდენტი. ამასთან, მაშის კანდიდატურა აშკარა შეშფოთებას იწვევს ირანის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებაში, რადგან ის მოლეების მისამართით არაერთმნიშვნელოვანი გამონათქვამებით გამოირჩევა. როგორც ექსპერტები თვლიან, მოსალოდნელია, რომ დამკვივებელთა საბჭო მის კანდიდატურას არ დაამტკიცებს.

## მილიარდერი ბრენსონი წვერულვაშიან სტიუარდესად მოგვევლინა

ექსტრავაგანტული მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა წაგებული ნიძლავის პირობები შეასრულა და სტიუარდესად გამოეწყო: ფეხები გაიპარსა, შეიღება და კომპნია „ეარ ასიას“ რეისზე წაიმუშავა.




ასეთი იყო სანაძლეოს პირობები, რომელიც „ვირჯინის“ ხელმძღანელმა ჯერ კიდევ 2010 წელს წააგო, როდესაც „ფორმულა 1-ის“ გუნდს, „ვირჯინ რასინგს“ ფლობდა. მან „ლოტუს რასინგის“ მფლობელთან, ტონი ფერნანდესთნ იკამათა, თუ ვისი გუნდი გაიმარჯვებდა კონსტრუქტორების თასზე – „ფორმულა 1“-ის გუნდურ ჩათვლაში. სანაძლეო პირობებით, დამარცხებულს გამარჯვებულის ავიაკომპანიის თვითმფრინავის ბორტზე სტიუარდესას როლი უნდა შეესრულებინა.

2010 წელს „ვირჯინი“ გუნდური ჩათვლის ბოლო პოზიციაზე აღმოჩნდა; ასე რომ, ბრენსონს ადრე თუ გვიან „ვალი უნდა დაებრუნებინა“. სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს არაერთხელ გადაიდო, მაგრამ 12 აპრილს ეს დროც დადგა.

ავიაკომპანია „ეარასიას“ სტიუარდესად გამოწყობილი სახელგანთქმული ბრიტანელი, თვითმფრინავის ბორტზე ავიდა, რომელიც ავსტრალიური პერტიდან კუალა-ლუმპურში მიემართებოდა; მალაიზიის დედაქალაქის აეროპორტში კი ბრენსონმა შოუ მოაწყო.

ბიზნესმენმა წინასწარ ფეხები გაიპარსა და ტუჩებზე წითელი პომადა იცხო, რაც ტონის კომპანიის ავიარეისების მუშაკებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ამის შემდეგ ის ფოტოკამერების წინაშე სტიუარდესას წითელ უნიფორმაში წარუდგა.

ბრენსონი მგზავრებს უხსნიდა თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ უსაფრთხოების ქამრები და სამაშველო ჟილეტები.

## ლატვიის სეიმმა „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა და ანტირუსული განწყობა კიდევ ერთხელ დაადასტურა

ლატვიის სეიმმა „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელთა მიხედვითაც ლატვიის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავიანთი ანტირუსული განწყობა.

ცვლილებების მიხედვით, ლატვიის მოქალაქეს ევროკავშირის ან ნატოს ქვეყნების მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში აქვს უფლება შეინარჩუნონ ლატვიის მოქალაქეობა, თუმცა რუსეთში წამსვლელებს ამის უფლება არ აქვთ. დოკუმენტი ძალაში ოქტომბერში შევა. ინფორმაციას ამის შესახებ „დელფი“ ავრცელებს.

„კანონზომიერება ასეთია – ვინც მიიღებს რუსეთის მოქალაქეობას მან ლატვიის მოქალაქეობას ავტომატურად უუქმებენ. თუმცა მე არ ვიცი შემთხვევა, როდესაც ლატვიის პასპორტი იმ ადამიანებისთვის წაურთმევიათ, ვინც აშშ, ბრიტანეთის ან გერმანიის მოქალაქეობა მიიღო“, – აცხადებს ლატვიის სეიმის ოპოზიციონერი დეპუტატი ბორის ცილევიჩი.

შეგახსენებთ, რომ ლატვიაში ოკუპაციის მუზეუმთან ოკუპანტების წინააღმდეგ პიკეტი გაიმართა. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ, რომ რუსულენოვანმა მოსახლეობამ ლატვია დატოვონ. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ლეტამ“ გაავრცელეა.



პიკეტში რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ ჰქონდათ პლაკატები წარწერით, რომ რუსულენოვანი მოსახლეობა ლატვიაში სტუმრები არიან და მათ დაავიწყდათ უკან დაბრუნება და ისინი ლატვიის სახელმწიფოებრიობისათვის საფრთხეს წარმოადგენენ.

აქციაში რიგის დუმის რამდენიმე დეპუტატიც მონაწილეობდა.

## ორასიო კარტესი ოფიციალურად პარაგვაის პრეზიდენტია

პარაგვაის უმაღლესმა არჩევითმა ტრიბუნალმა ოფიციალურად სცნო ორასიო კარტესი აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულად და პარაგვაის ახალ არჩეულ პრეზიდენტად. ამის შესახებ ინფორმაციას ლათინური ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ.



ორასიო კარტესმა კონკურენტი, ლიბერალი ეფრანია ალეგრე 9%-ით ჩამოიტოვა, მიიღო რა ამომრჩეველთა 46%-ის ხმები. ინაუგურაცია 15 აგვისტოს გაიმართება და ახალი პრეზიდენტი ქვეყნის სათავეში 2018 წლამდე დარჩება.

„პარაგვაის დიდი ხანია სჭირდება უნარიანი ხელისუფლება და ჩვენ არაფერზე დავიხევთ უკან თანასწორი და სოციალურად სამართლიანი ქვეყნის შენების პროცესში“, – განაცხადა პარაგვაის ახალმა პრეზიდენტმა.

ორასიო კარტესი პარაგვაის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. იგი პარაგვაის თამბაქოს იმპერიის „ტობაქოს დელ პარაგვაის“ უფროსი და პარტია „კოლორადოს“ წევრია. აღნიშნული პარტია, რომელიც პარაგვაის თითქმის 60 წელიწადს მართავადა, 2008 წლის შემდეგ კვლავ სათავეში ბრუნდება. კარტესი კრიტიკულად უდგება შიდა პარტიულ პოლიტიკას და პირობას სდებს, რომ აქტიურად შეებრძოლება სიღარიბესა და კორუფციას.

პარაგვაის პრეზიდენტი სახელმწიფოს, მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ირჩევს მოსახლეობა 5 წლის ვადით.

პრეზიდენტის სამუშაო ადგილია ლოპესის სასახლე ასუნსიონში, ხოლო რეზიდენცია და საცხოვრებელი ადგილია მბურუვიჩა როგა.

პარაგვაის კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ხდება მუდმივი სენატორი.

## ბრეივიკს ფაშისტურ-პოლიტიკური ასოციაციის რეგისტრაციაზე უარი განუცხადეს

ნორვეგიის ხელისუფლებამ უარი განუცხადა ანდრეს ბრეივიკს, რომელიც სასჯელს იხდის 2011 წელს 77 ადამიანის მკვლელობისთვის, ფაშისტურ პოლიტიკური ასოციაციის რეგისტრაციაზე.

მანამდე, ბრეივიკმა განაცხადი შეიტანა ასოციაციის „ნორვეგიის და ჩრდილოეთ ლიგის ფაშისტური პარტიის“ დარეგისტრირებაზე. მაგრამ, ნორვეგიული უწყების წარმომადგენლის თქმით, რომელიც მსგავს საბუთებს იხილავს, განაცხადა, რომ ბრეივიკმა განაცხადი არასწორად წარმოადგინა. მაგალითად, ასოციაციის შესაქმნელად მინიმუმ საჭიროა ორი ადამიანი, მაშინ როცა ბრეივიკმა განაცხადი მხოლოდ თავისი სახელით შეიტანა, ასევე მას არ დაურთავს რამდენიმე საჭირო დოკუმენტი.

როგორც იტყობინება ბრეივიკის ადვოკატი ტოდ იორდეტი, მისი კლიენტი მზადაა განაცხადი ხელმეორედ შეიტანოს.

ანდერს ბერინგ ბრეივიკი ნორვეგიელი ტერორისტი, ფუნდამენტალისტი პროტესტანტი, 2011 წლის 22 ივლისს, ოსლოს სამთავრობო კვარტალში მოწყობილი აფეთქებისა და ნორვეგიის შრომის პარტიის ახალგაზრდულ ბანაკზე განხორციელებული თავდასხმის მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელია. მის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად დაიჭრა 151, ხოლო გარდაიცვალა 77 ადამიანი, მათ შორის საქართველოს ერთი მოქალაქე. ნორვეგიის სასამართლოს 2012 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით ანდერს ბერინგ ბრეივიკს მიესაჯა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადის გაზრდის შესაძლებლობით.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 13 მაისი**

06.30 დ/ფ „სუფრაჟისტები“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ბორჯია“ 17.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის შიშით“ 21.00 ტ/სერ „ბორჯია“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „მკვლელი ნინძა“ (ტიტ.) 02.40 დ/ფ „იმპრესიონისტული სკანდალი“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბანგკოკი“ 09.00 მხ/ფ „ქალი კატა“ (ჰ. ბერი) 10.50 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი-4“ (მ.გიბსონი) 12.50 მხ/ფ „პიკის საათი-3“ (კ.ტაკერი) 14.15 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი“ I ნაწ. 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“ 4 სერ. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 მხ/ფ „საუკეთესო საყვარელი“ (მ.სტრიპი) 01.20 მხ/ფ: „ოქროს ყვავილის წყევლა“ (ს.ლ. გონგი) 03.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.30 მხ/ფ „ვერის უბნის მელოდიები“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „ფესვები“ 13.30 კონცერტი -ჯეიმს ლასტი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „ძველი ვოდევილები“ 17.15 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.40 ეთნოგრაფია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „იმერული ესკიზები“ 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „გალობის რაინდები“ 00.40 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ოქროს ოზოზა“ I სერ. 02.30 სიახლენი

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მალვიძარა 11.00, 12.45, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 5.00 „თავისუფალი დრო“ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი“ 16.30 „ღია კარის დღე“ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური ამბები“ 23.00, 3.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6445 |
| ევრო | 2,1388 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5312 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2907 |

## ამინდის პროგნოზი 13 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# რა შანსები აქვთ ნოდიკო ტატიშვილსა და სოფო გელოვანს?

ეკა ირემაშვილი

რა შანსები აქვთ წლევანდელ ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენლებს სოფო გელოვანს და ნოდიკო ტატიშვილს? ბუკმეკერების მიხედვით, საქართველო 2013 წლის ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალის ფავორიტია. მეორე ნახევარფინალურ ტურში პირველი და მეორე ადგილების მოპოვებას ნორვეგიის წარმომადგენელს მარგარეტ ბერგერს და ევროფესტივალის ქართველ კონკურსანტებს სოფო გელოვანს და ნოდიკო ტატიშვილს უწინასწარმეტყველებენ.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსში, რომლის დევიზით წელს არის „ჩვენ ერთი ვართ“, გამარჯვებას ბუკმეკერები დანიის წარმომადგენელს ემილი დე ფორესტს უწინასწარმეტყველებენ, ფავორიტებს შორის მოიაზრება უკრაინის კონკურსანტი ზლატა ოგნევიჩი.

ქართული დელეგაცია შვედეთში 5 მაისს გამთენიისას გაემგზავრა. ევროვიზიის კონკურსის ოფიციალურ გახსნამდე, მის მონაწილეებს საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვთ – რეპეტიციები, პრესკონფერენციები, წვეულებები, კონცერტები.

ევროვიზიის ქართველი კონკურსანტები სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი შვედი კომპოზიტორის ტომას ჯეისონის სიმღერით „ვოთერფალ“ (ჩანჩქერი) მაყურებლის წინაშე ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს 15-ე ნომრად წარდგებიან. ისინი შვედი ბექვოკალისტების იოჰანა ბეიბომის, ჰანს მარტინ კაგემარკის და ლიზეტე ვარეს იუჰლმენის თანხლებით გამოვლენ. ტომას ჯეისონი 2012 ევროფესტივალის გამარჯვებული სიმღერის „ეუფორია“ ავტორია, რომელიც შვედმა მომღერალმა ლორენმა შეასრულა და თავის ქვეყანას გამარჯვებაც მოუტანა.

ქართველმა მომღერლებმა მალმეს არენაზე პირველი რეპეტიცია უკვე გაიარეს. ქართველი მონაწილეების სასცენო დადგმა ცნობილ რეჟისორს ლაშა ონიანს ეკუთვნის.

2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით შვედეთში მყოფი ქართული დელეგაციის წევრები კოფენჰაგენში, დანიაში ჩავიდნენ და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს შეხვდნენ. საქართველოდან ევროფესტივალის პირდაპირ ტრანსლირებას თემო კვირკველია გაუძღვება, რომელიც ნოდიკოს და სოფოს კლიპის რეჟისორია, საქართველოს მონაცემებს კი ევროპას მოამბის კულტურის ბლოკის წამყვანი ლიზა წიკლაური გააცნობს. საქართველოს ეროვიზიაზე უკვე მეშვიდედ მონაწილეობს, სოფო ხალვაშის, სოფო ნიჟარაძის, დიანა ღურწკაიას, ელდრაინის, ანრი ჯოხაძისა და სტეფანე და სამი გოგოს გაპროტესტებულ კონცერტშია მჯერად უკვე ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი ჩაერთნენ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირველად გამოიყენა თავისი უფლება და ყოველგვარი კოკნურსის გარეშე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ევროფესტივალზე თავად დაასახელა.



2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით შვედეთში მყოფმა ქართულმა დელეგაციამ საქართველოს საელჩოს ინიციატივით დანიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. ლაშა ონიანი, სცენოგრაფიის რეჟისორი და ტომას ჯეისონი, საკონკურსო სიმღერის ავტორი შვედეთში ქართული დელეგაციის წევრებს შეუერთდნენ.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ორგანიზატორი ევროპის მაუწყებელთა კავშირია. ევროფესტივალზე კონკურსანტის წარდგენის უფლება ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრ მაუწყებელს აქვს. ევროვიზიის კონკურსის პირობების თანახმად, მონაწილის შერჩევის ორი გზა არსებობს. ევროვიზიის მონაწილე ქვეყნის მაუწყებელი აცხადებს ეროვნულ კონკურსს, რომლის გამარჯვებულიც ამ ქვეყანას ევროვიზიის კონკურსზე წარადგენს, ან მაუწყებელს მინიჭებული აქვს უფლება მონაწილე შიდაშერჩევის შედეგად, კონკურსის გამოცხადების გარეშე დაასახელოს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია. შესაბამისად, საქართველოდან კონკურსანტის წარდგენის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს.

ევროფესტივალი გრანდიოზული ღონისძიებაა, რომლის ორგანიზებაში უამრავი ადამიანია ჩართული. ის მოიცავს მმართველ ჯგუფს, აღმასრულებელ პროდიუსერებს, დელეგაციების ხელმძღვანელებს, პრესცენტრს, მასპინძელ ნაგებობას, სცენას, ევროკლუბს, ფანკლუბს, თემასა და ლოგოს, ევროვიზიის საიტებს, ტრადიციულ ღონისძიებებს, მკაცრად განსაზღვრულ წესებს. მასპინძელი მაუწყებელი, საინიციატივო ჯგუფი, ევროვიზიის აღმასრულებელი პროდიუსერი, ევროპის მაუწყებელთა კავშირი ევროფესტივალის დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარებას უზრუნველყოფენ. ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც ამ პრესტიჟულ კონკურსს იგებს, შემდეგი წლის კონკურსის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს. „ევროვიზიის გასაღების“ გადაცემის ცერემონიალი ერთ-ერთი ტრადიციული ღონისძიებაა. გა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 13 მაისისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** – დიდი ბედნიერება და სიხარული გელოდებათ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მნიშვნელოვანია. **კირჩხიბი** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **ლომი** – თქვენი საქმე იმდენად წინ მიდის, რომ გაოცებული ხართ. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – დაისვენეთ, სასურველია მეგობრებს შეხვდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე გააკეთეთ. **მშვილდოსანი** – შეცვალეთ ცხოვრების წესი, ასე აჯობებს. **თხის რქა** – გააქტიურდით, დიდი წარმატება გელოდებათ. **მერწყული** – საქმეს თავს ნუ აარიდებთ, იაქტიურეთ. **თევზები** – ფული გაქვთ, მაგრამ არ დახარჯოთ, შემოსავალს კიდევ მიამატეთ, დააგროვეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. დახურული ოთხთვალა ეტლი; 4. ხის ქერქვეშა მკვრივი ნაწილი; 7. დიდი ხმაური; 9. კამეჩის ხმიანობა; 11. კურკოვანი ხილი; 12. სუნთქვისა და წვისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტი; 13. ჩქარი წვიმა; 17. ლომების ოჯახი; 18. მირტყმული ადგილი შუბლზე; 19. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 20. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. სინემა; 2. საპალტოე ქსოვილი; 3. რკინიგზის მუშა; 5. მინანქარი; 6. მჭედელი; 8. ყუთი ეკრანით; 10. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სანიმუშო ნაწარმოები; 12. პერიოდული გამოცემა წიგნის სახით; 14. ცირკის მოედანი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. წიწვოვანი ტყის ზოლი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



# გურამ ოდიშარია: „ასეთი დავით კაკაბაძე ჯერ არ გინახავთ“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა დავით კაკაბაძის გამოფენასთან დაკავშირებით. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილე მიხეილ წერეთელი, ეროვნული გალერეის ხელმძღვანელი ნინო გედევანიშვილი, დავით კაკაბაძის ფონდის ხელმძღვანელი მარიამ კაკაბაძე.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, დავით კაკაბაძის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გა-



მოფენა 18 მაისიდან 10 ივლისის ჩათვლით, ეროვნული გალერეის 7 დარბაზში გაიმართება და სხვადასხვა კუთხით პირველად წარმოაჩენს მხატვარს. ექსპოზიციის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

როგორც კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, ეს იქნება გრანდიოზული გამოფენა, სადაც ამ მხატვრის მთელი შემოქმედება იქნება წარმოდგენილი.

დავით კაკაბაძეს ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია. იგი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და პროფესორია. ცნობილია, რომ მხატვარი მოწაფეობის წლებიდან ბეჭდავდა ნახატებს ქართულ პერიოდულ პრესაში, გაეცნო რუსულ და დასავლეთევროპული მხატვრობის უახლეს მიმდინარეობებს და დაჯგუფებებს. სტუდენტობის წლებში დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების კვლევა. პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში შექმნილია ფინეთისა და საქართველოს ნატურიდან დახატული პეიზაჟები, 3 ავტოპორტრეტი, დედის პორტრეტი, ძმის პორტრეტი. რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად დავით კაკაბაძემ შექმნა კუბისტური ხასიათის სურათებიც. საქართველოში ყოფნისას საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვრის, შემოქმედებითი სახე. სწორედ მან შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები. ამ პერიოდიდან გამორჩეულია მისი „იმერეთი – დედაჩემი“, სადაც მხატვრისთვის ჩვეული იმერეთის პეიზაჟის ფონზე გამოსახულია მოხუცი ქალის ალეგორიული ფიგურა.

დავით კაკაბაძე 8 წელი პარიზში ცხოვრობდა, მონაწილეობდა „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების“ ყოველწლიურ გამოფენებში, სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად აწყობდა გამოფენებს, კითხულობდა ლექციებს ხელოვნების სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კალაძის გამოსათხოვარი მატჩისთვის მზადება იწყება

31 მაისს კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი გაიმართება – „მილანი“ და კახი კალაძის მეგობრები. მატჩის ორგანიზატორმა დავით მუჯირმა პრესკონფერენცია გამართა.

**დავით მუჯირი:**

– მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვარ მეგობართა იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, ვინც ამ მატჩს გაუწევს ორგანიზებას. კახა დაკავებულია სამსახურებრივი მოვალეობით, ამიტომ ჩვენ ხელს ვუწყობთ. მან დიდი ფეხბურთი ითამაშა, ამიტომ ვეცდებით ღირსეულად გავაცილოთ. მეგობართა ჯგუფში არიან ჩვენი ლეგიონერები – იაშვილი, დემეტრაძე, ზამთარაძე, კობიაშვილი. გამოსამშვიდობებელი მატჩი 31 მაისს, 20:30 წუთზე დაიწყება. ჯერ იქნება შოუ, შემდეგ პრესკონფერენციებზე ვისაუბრებთ დეტალებზე. პროდიუსერები და რეჟისორები მუშაობენ უკვე ყველაფერზე, იგეგმება ბერას გამოსვლა. ბევრი რამე სიურპრიზად დარჩება. „მილანის“ გუნდში ითამაშებენ ფეხბურთელები, რომლებიც ახლაც თამაშობენ. კახას მეგობრების გუნდი ინტერნაციონალური იქნება. ამ ეტაპზე ოფიციალური მოწვევა არავის აქვს, ამიტომ დასახელებისგან თავს შევიკავებ. უკვე გვაქვს რამდენიმესგან დასტური. მე გახლდით მილანში. 15 მაისს „მილანის“ წარმომადგენელი თბილისში ჩამოვა და დეტალებზე შევთანხმდებით. დადასტურებით შემიძლია ვთქვა, ჩამოვლენ – მალდინი, ინძაგი, კოსტაკურტა, შევჩენკო, რუი კოშტა, ბობანი, ვიერი, სერჟინიო. 17 მაისს უკვე ოფიციალურ შემადგენლობას გაგაცნობთ. 22 მაისიდან გაიყიდება ბილეთები, იყო ვარიანტი, რომ უფასო ყოფილიყო თამაში, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ 5-დან 10 ლარამდე იქნება ბილეთის ფასი, შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. მეგობრების გუნდის მწვრთნელი ჯერჯერობით არ ვიცი ვინ იქნება, „მილანის“ გუნდის მწვრთნელი კი – კარლო ანჩელოტია.

მ. ჟ.

